საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
ფინედუ
german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
German Sparkassenstiftung
EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

დამხმარე სასწავლო მასალა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის
IX კლასი. თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

დამხმარე სასწავლო მასალა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის

IX კლასი. თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

საქართველოს ეროვნული ბანკი

2023

შინაარსი

შესავალი. 4

საკითხი 1: პროფესია და სამსახური 8
1.1 როგორ უნდა აირჩიოთ პროფესია? 8
1.2 რა უნდა გაითვალისწინოთ სამსახურის დაწყებამდე? 11
1.3 შრომითი უფლებები 12
1.4 რას ნიშნავს შრომის დანაწილება? 13
სამუშაო ფურცელი 1.1 პროფესიის არჩევა 14
სამუშაო ფურცელი 1.2 პროფესიების შედარება 17
სამუშაო ფურცელი 1.3 როლური თამაში „პიცა მზადაა“ 18
სამუშაო ფურცელი 1.4 გადაწყვეტილების მიღება 19
სამუშაო ფურცელი 1.5 დასაქმებულის უფლებები 20
სამუშაო ფურცელი 1.6 ტესტი 21
სასარგებლო/გამოყენებული რესურსები 21

საკითხი 2: სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები 22
2.1 რატომ ვიხდით გადასახადებს? 22
2.2 რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი? 24
2.3 რა გადასახადები არსებობს? 27
2.4 როგორ აისახება გადასახადები პირად ფინანსებზე? 28
სამუშაო ფურცელი 2.1 ბარათების დაწყვილება (მეხსიერების თამაში) 29
სამუშაო ფურცელი 2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 31
სამუშაო ფურცელი 2.3 გადასახადების გამოთვლა 32
სამუშაო ფურცელი 2.4 გადასახადის სახეები 32
სამუშაო ფურცელი 2.5 ტესტი 35
სასარგებლო/გამოყენებული რესურსები 35

საკითხი 3: საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები 36
3.1 რა არის საფინანსო ორგანიზაცია? 37
3.2 ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები 38
3.3 საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკაში 39
3.4 ფინანსური პროდუქტები და მომსახურება 41
3.5 როგორ შეარჩიოთ ბანკი? 44
სამუშაო ფურცელი 3.1 ბანკის ფუნქციები და მომსახურებები 44
სამუშაო ფურცელი 3.2 ეროვნული ბანკის როლი 46
სამუშაო ფურცელი 3.3 საქონლისა და ფულის მოძრაობა 49
სამუშაო ფურცელი 3.4 როგორ შეარჩიოთ ბანკი? 50
სამუშაო ფურცელი 3.5 ტესტი 60
სასარგებლო/გამოყენებული რესურსები 60

საკითხი 4: დაზღვევა 60
4.1 ყოველდღიურობაში არსებული რისკები 61
4.2 როგორ მუშაობს დაზღვევა? 62
4.3 დაზღვევის ტიპები 63
4.4 დაზღვევის ხელშეკრულება 64
სამუშაო ფურცელი 4.1 ცხოვრებისეული რისკები 65
სამუშაო ფურცელი 4.2 დაზღვევის ტიპები 67
სამუშაო ფურცელი 4.3 დაზღვევის პირობები 67
სამუშაო ფურცელი 4.4 ტესტი 69
სასარგებლო/გამოყენებული რესურსები 69

საკითხი 5: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები 69
5.1 მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში 70
5.2 საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები 72
5.3 მომხმარებლის პასუხისმგებლობები ფინანსური პროდუქტით სარგებლობისას 73
5.4 ვის უნდა მიმართოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში? 74
სამუშაო ფურცელი 5.1 მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები 76
სამუშაო ფურცელი 5.2 სიტუაციის განხილვა 77
სამუშაო ფურცელი 5.3 მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები 78
სამუშაო ფურცელი 5.4 ტესტი 79
სასარგებლო/გამოყენებული რესურსები 80

შესავალი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს ფინანსური განათლების ახალი ეროვნული სტრატეგია გამოაქვეყნა - **„ინფორმირებული გადაწყვეტილებებიდან ფინანსურ კეთილ-დღეობამდე“.**

სტრატეგიის მისიაა, ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ეროვნული ბანკი და დაინტერესებული მხარეები შეძლებენ კოორდინირებულ მოქმედებას მოსახლეობის ფართო მასებში ფინანსური განათლების გასავრცელებლად, რის შედეგადაც მოსახლეობას ექნება შესაბამისი ინფორმაცია, ცოდნა, ქცევა, დამოკიდებულება და უნარები, მიიღოს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები და იმოქმედოს საკუთარი საუკეთესო ფინანსური ინტერესებისთვის.

სტრატეგიის მისიის შესასრულებლად, ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული **მიმართულება ახალგაზრდა თაობისთვის ფინანსური განათლების მიწოდება და მათი მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებაა.** ამ მიმართულებით ერთ-ერთი ამოცანა კი **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის ხელ-შეწყობაა.**

სტრატეგია იზიარებს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანი-ზაციის (OECD) რეკომენდაციას, ფინანსური განათლების რაც შეიძლება ადრე, სასკოლო ასაკიდან დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე. მოსწავლეების ფინანსური უნარების განვითარება და ადრეული ასაკიდანვე ჯანსაღი ფინანსური ჩვევების გამომუშავება მომავალში, მათი პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისა და გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობისთვის, მეტად მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა წარმოადგენდა ფინანსური განათლების წინა, 2016 წლის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფსაც.

2018 წელს, ფინანსური განათლების 2016 სტრატეგიის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ VII-IX კლასელთათვის მოქალაქეობის საგნის შემადგენელ ნაწილად ფინანსური და ეკონომიკური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. ამ შესავლის დანართი) დაამტკიცა.

2020 წელს კი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის (SBFIC) მხარდაჭერითა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით, სამოქალაქო განათლების VII კლასის პედაგოგებისათვის ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებზე დამხმარე სასწავლო მასალა შეიმუშავა.

წინამდებარე სასწავლო მასალა IX კლასის პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი და სასწავლო პროცესში მათ მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

წინამდებარე სასწავლო მასალა შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის (German Sparkassenstiftung DSIK) და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩართულობით.

სასწავლო მასალის შესაბამისი ნაწილები გადაიხედა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.

მასალები შემდეგი სახით არის მოცემული:

- პირველ რიგში, გარდა ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო ცნებებისა, თითოეულ თემას თან ახლავს სასწავლო მიზნები და მოსწავლის კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული იყოს სხვა დამხმარე მასალები და ცნობები.

- თემების მოკლე შესავალი - რასაც თან სდევს სამუშაო და პასუხებიანი ფურცლები მასწავლებელთათვის.

✦ შეთავაზება, თუ როგორ შეიძლება აიგოს გაკვეთილი, როგორი დავალებები შეიძლება მიეცეთ მოსწავლეებს.

✦ სპეციალური შაბლონები დამხმარე მასალების სახით. - მათი მიზანია, ხელი შეუწყოს ცოცხალი, აქტიური ხასიათის გაკვეთილების ჩატარებასა და მოსწავლეთა მოტივაციის სტიმულირებას. სასწავლო მასალა მოიცავს ფაქტებს, ცნებებსა და მაგალითებს ყოველდღიური ყოფითი სიტუაციებიდან, ასევე, მათ კავშირს მოსწავლეებთან: ეს მეთოდები მიზნად ისახავს მოსწავლეებში კვლევებისა და აღმოჩენების სურვილისა და მოტივაციის გაღვიძებას.

სწავლა კეთებით! - სწავლის თანამედროვე მეთოდები მოიცავს როლურ თამაშებს, სიმულაციურ თამაშებს, ჯგუფურ მუშაობას, პროექტზე მუშაობას, ინფორმაციის მოძიებას, ცხრილების შექმნას, გამოთვლების ჩატარებას, გადაწყვეტილებების მიღებასა და დისკუსიას. ეს ყველაფერი კი მიზნად ისახავს მოსწავლეთა წახალისებას, აქტიურად იმუშავონ სასწავლო მასალასთან.

წარმატებებს გისურვებთ, თქვენს მოსწავლეებთან ერთად!

დანართი: საგნის „მოქალაქეობა“ წლიური პროგრამა
(ფინანსური და ეკონომიკური ნაწილი)

IX კლასი

თემატური ბლოკი: მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები

თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

საკითხები

1. სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები;
2. ფინანსური ორგანიზაციები და მომსახურებები;
3. მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები;
4. დაზღვევა

ცნებები

სოციალიზაცია - მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები
ინიციატივა - დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები
სამოქალაქო მონაწილეობა - მოხალისეობა, ადვოკატირება, ლობირება
მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება

საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:

- რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? რატომ ინაწილებენ ადამიანები შრომას?
- რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?
- როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?
- რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულებისთვის თავის არიდებას?
- როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ ფინანსურ ორგანიზაციებთან?
- რატომ არსებობს ეროვნული ბანკი?
- როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?
- რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენს მიერ გადახდილ გადასახადებს?

აქტივობები

იდეები კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სოციალიზაცია ***(პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)***

- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,3,4,5,6, 7,8,9,12,13);**

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები ***(ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)***

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13)**;

ინიციატივა

- გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას **(მოქ.საბ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13);**

სამოქალაქო მონაწილეობა

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);**

მდგრადი განვითარება

- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საბ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).**

მკვიდრი წარმოდგენები

- შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია;
- ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;
- სესხის აღებამდე რეალისტურად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები, ყურადღებით გავეცნოთ ხელშეკრულებას და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება;
- დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში;
- პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილ-დღეობის საფუძველია;
- გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება.

საკითხი 1: პროფესია და სამსახური

ქვესაკითხები:

- როგორ უნდა აირჩიოთ პროფესია?
- რა უნდა გაითვალისწინოთ სამსახურის დაწყებამდე?
- შრომითი უფლებები.
- რას ნიშნავს შრომის დანაწილება?

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები ეცნობიან შემოსავლის მიღების სხვადასხვა გზას;
- მოსწავლეებმა იციან, რა უნდა გაითვალისწინონ სამსახურის დაწყებამდე;
- მოსწავლეებმა იციან შრომითი უფლებების შესახებ;
- მოსწავლეებს ესმით, რატომ ხდება შრომის დანაწილება.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა პროფესიების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- მოსწავლეებს შეუძლიათ მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება

მნიშვნელოვანი ცნებები:

პროფესია, სამსახური, კარიერა, სტაჟირება, მოხალისეობა, შრომის დანაწილება

თემატური საკვანძო შეკითხვები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? რატომ ინაწილებენ ადამიანები შრომას?
• რატომ არის მნიშვნელოვანი, სამსახურის დაწყებისას, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?
თემატური მკვიდრი წარმოდგენები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია.

1.1 როგორ უნდა აირჩიოთ პროფესია?

როგორც ყველა სხვა ადამიანს, თქვენც თქვენი სურვილები და საჭიროებები გაქვთ, რომელთა დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას ყიდულობთ. ამაში გარკვეულ თანხას იხდით. ფულის გამოსამუშავებლად შრომობთ. შრომის შედეგად გამომუშავებული ფული, თქვენი შემოსავალია. გავიხსენოთ VII კლასში ნასწავლი მასალა, რომლის თანახმადაც, შემოსავალი შეიძლება მიიღოთ:

- **სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ:** მაგალითად, როდესაც დაქირავებული ხართ და ამ შრომის სანაცვლოდ იღებთ ანაზღაურებას. ეს ანაზღაურება იქნება თქვენი შემოსავალი;
- **აქტივის (ნივთის) ფლობის სანაცვლოდ:** მაგალითად, თუ საკუთრებაში გაქვთ ფართი, მისი გაქირავებით მიღებული თანხა (იჯარა) თქვენი შემოსავალი იქნება; თუ ბანკში დეპოზიტზე გაქვთ თანხა შეტანილი, მიღებული საპროცენტო სარგებელი იქნება თქვენი შემოსავალი;
- **საკუთარი ბიზნესიდან:** შესაძლებელია გახდეთ მეწარმე, ანუ ანტრეპრენერი, თავად შექმნათ პროდუქტი ან მომსახურება, რომელსაც გაყიდით და შემოსავალს აქედან მიიღებთ.

სამსახურის დაწყებამდე, ჯერ პროფესიას ირჩევთ.

პროფესია ეს არის შეძენილი (დასწავლის შედეგად მიღებული) ცოდნის, უნარების და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია სპეციფიკური სამუშაოს შესასრულებლად და რომელიც ინდივიდს ათვისებული აქვს.

სამსახური შეიძლება განვმარტოთ, როგორც კონკრეტული მოვალეობა, დავალება ან საქმიანობა, რომელსაც ადამიანი რეგულარულად თავისი დროის, ენერგიისა და უნარების ხარჯზე, ფულის გამომუშავების მიზნით ასრულებს.

კარიერა არის სამსახურებრივ, საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატების მიღწევისაკენ მიმავალი გზა.

პროფესიის არჩევა მნიშვნელოვანი და არც ისე მარტივი გადაწყვეტილებაა, რომლის მიღებამდეც კარგად დაფიქრდით, მოიკვლიეთ ინფორმაციები და შემდეგ საკუთარ თავს ჰკითხეთ:

- რისი კეთება გიყვართ?
- რა გაინტერესებთ?
- რა გამოგდით კარგად?
- რისი ცოდნა და რა უნარებია საჭირო ამა თუ იმ პროფესიის დასაუფლებლად?
- რომელი პროფესიებია მოთხოვნადი? რომელი იქნება მომავალში მოთხოვნადი?
- როგორია ამა თუ იმ სფეროში ანაზღაურება?

შემდეგ, პასუხები ფურცელზე ჩამოწერეთ: აკადემიური საგნები, რომლებიც სკოლაში სწავლისას გამორჩეულად მოგწონთ, ასევე, რისი კეთება გიყვართ და რა გამოგდით კარგად. ამის შემდეგ, შეარჩიეთ პროფესია, რომელიც აერთიანებს ყველაფერს რაც მოგწონთ, გიყვართ და კარგადაც გამოგდით. შესაძლებელია, თავიდან რომელიმე სფეროზე, დარგზე და არა კონკრეტულ პროფესიაზე დეფიქრდეთ. მაგალითად, მედიცინის სფერო, რომელიც სხვადასხვა პროფესიას გულისხმობს - ექიმი, ექთანი, ლაბორანტი, საავადმყოფოს ადმინისტრატორი და სხვ. ჩამოწერეთ ყველა შესაძლო სფერო/პროფესია. მათ შესახებ შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია მოიძიეთ. დააზუსტეთ, კონკრეტული პროფესიის დასაუფლებლად რა უნარები და ცოდნა იქნება საჭირო. ამისთვის ინტერნეტი გამოიყენეთ, შესაბამის სფეროში დასაქმებულ ნაცნობებს გაესაუბრეთ, გაარკვიეთ, როგორია დასაქმების შესაძლებლობები, რამდენია საშუალო ანაზღაურება და სხვა. ბოლოს, თქვენს პრიორიტეტებშიც გაერკვიეთ, რომ ზუსტად იცოდეთ, თუ რა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი: საინტერესო საქმე, მაღალი ანაზღაურება, დამოუკიდებელი თუ გუნდური საქმიანობა, თუ სხვა რამ.

ყველა ადამიანს უნიკალური ღირებულებები, მიზნები, მისწრაფებები და უნარები აქვს.

პროფესიებიც მრავალფეროვანია და ყველას თავისთვის შესაბამისის არჩევა შეუძლია.

ამა თუ იმ პროფესიისთვის შესატყვის ცოდნასა და უნარებს, ასევე, სამუშაოს მაძიებლების მიმართ დამსაქმებლების მოთხოვნებს ვაკანსიების შესახებ განცხადებებში ამოიკითხავთ. ძირითადი ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- საბაზისო ცოდნა და უნარები (სპეციფიკური განათლება ამა თუ იმ სფეროში);
- კომუნიკაბელურობა (ადამიანებთან ურთიერთობა);
- გუნდური მუშაობა (სხვა ადამიანებთან ერთად გუნდში მუშაობა საერთო მიზნისთვის;)
- ტექნოლოგიების გამოყენება (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანობაში);
- კარგი ვერბალური კომუნიკაციის უნარი (ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა);
- პრობლემების გადაწყვეტა (ამა თუ იმ გამოწვევაზე გამოსავალის მოფიქრება);
- გამოცდილება (იმავე სფეროში ან მსგავს პოზიციაზე საქმიანობა, მათ შორის სტაჟირებაც);
- და სხვ.

ანაზღაურების შესახებ ინფორმაცის მოიპოვება სხვადასხვა გზით შეგიძლიათ: გაეცანით სტატისტიკურ მონაცემებს www.Geostat.ge-ზე და დარგების მიხედვით საშუალო ხელფასები ნახეთ, ასევე, გამოქვეყნებული ვაკანსიების განაცხადებებს გაეცანით, რომლებშიც უმეტესად ხელფასებიცაა მითითებული და ა.შ.

პროფესიის არჩევაზე ფიქრისას გადაწყვეტილების მიღების PACED მოდელის გამოყენებაც შეგიძლიათ:

P	პრობლემა (**P**roblem)
A	ალტერნატივა (**A**lternative)
C	კრიტერიუმები (**C**riteria)
E	შეფასება (**E**valuation)
D	გადაწყვეტილება (**D**ecision)

1. განსაზღვრეთ პრობლემა - პროფესიის არჩევა;

2. ჩამოთვალეთ ალტერნატივები - თქვენთვის საინტერესო პროფესიათა ჩამონათვალი;

3. განსაზღვრეთ კრიტერიუმები - საინტერესო საქმე, მაღალი ანაზღაურება, მოთხოვ-ნადი პროფესია და ა.შ.;

4. შეაფასეთ ალტერნატივები - თქვენი პრიორიტეტებიდან გამომდინარე ერთმანეთს შეადარეთ თითოეული ალტერნატივის სარგებელი;

5. მიიღეთ გადაწყვეტილება.

ალტერნატივები	კრიტერიუმები				
	საინტერესო	ანაზღაურება	მოთხოვნადი	კარგად გამომდის	და ა.შ
პროფესია 1	+/-	+/-	+/-	+/-	+/-
პროფესია 2	+/-	+/-	+/-	+/-	+/-
პროფესია 3	+/-	+/-	+/-	+/-	+/-

მოსწავლეებისთვის პროფესიულ ორიენტაციაში გზამკვლევად საქართველოში ვებგვერდი www.myprofession.gov.ge მოქმედებს.

1.2 რა უნდა გაითვალისწინოთ სამსახურის დაწყებამდე?

სამსახურის დაწყების მსურველს ორგანიზაციაში კონკრეტული პოზიციის შესაბამისი ცოდნა და უნარები მოეთხოვება. გარკვეული უნარების გამომუშავება, გაუჯობესება, პრაქტიკული გამოცდილების მიღება მოხალისეობით ან სტაჟირების გავლითაც შეგიძლიათ.

მოხალისე - არის ადამიანი, რომელიც სასიკეთო საქმეს ანაზღაურების გარეშე, უანგაროდ, საკუთარი სურვილით და შინაგანი მოთხოვნილების, ღირებულებების ერთგულებით აკეთებს. მოხალისეობა ერთჯერადი ან მრავალჯერადი შეიძლება იყოს. ამ გზაზე ადამიანი მრავალფეროვან გამოცდილებას იძენს: ითვისებს ახალ უნარებს, გამოსცდის მათ სრულიად უნიკალურ ვითარებაში, უშუალოდ მონაწილეობს და თავისი წვლილ შეაქვს საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის, სოციუმის პრობლემების მოგვარებაში.

სტაჟირება - მიღებული აკადემიური ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენების, არსებული უნარების გაუმჯობესების და ახლის შეძენის საშუალებას იძლევა. სტაჟირება შეიძლება როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადიც იყოს.

თუ სამსახურის დაწყების სურვილი გაქვთ, რეზიუმეს/CV-ის შექმნა აუცილებლად დაგჭირდებათ. რეზიუმე არის დოკუმენტი, რომელითაც დამსაქმებელს თქვენს თავს აცნობთ, პოტენციურ დამსაქმებელთან ურთიერთობა რეზიუმეთი იწყება და მეტად მნიშვნელოვანია, რომ მასში კარგად იყოს ასახული: თქვენი ცოდნა/განათლება, უნარები, სამუშაო გამოცდილება (თუ უკვე გაქვთ), პიროვნული თვისებები, პრიორიტეტები. აქვე გასათვალისწინებელია, რომ რეზიუმეში თავმოყრილი ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო პოზიციის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს.

სასურველი სამსახურის ძიება ვაკანსიების საძიებო ვებგვერდებზე ან უშუალოდ კომპანიების ვებგვერდებზეცაა შესაძლებელი. გამოიყენეთ სანაცნობო წრე, საშუამავლო კომპანიები, სოციალური ქსელები, Linkedin პლატფორმა, რომელიც უშუალოდ დამსაქმებელთან გაკავშირებთ.

კანდიდატის შერჩევის ეტაპები, კომპანიებისა და სამუშაო პოზიციის მიხედვით,

განსხვავებულია. რეზიუმეს გაგზავნის შემდეგ, დამსაქმებელის დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია ტესტირება, გასაუბრება, გამოსაცდელი ვადით მუშაობა და ა.შ. შემოგთავაზონ. სათანადო საფეხურების წარმატებით გავლის შედეგად დამსაქმებელი პირობებს გითანხმებთ, შემდეგ კი, როგორც წესი, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გთავაზობთ. ხელშეკრულებაში უფლება-მოვალეობები, ანაზღაურება და სხვა წინასწარ შეთანხმებული პირობები იწერება. მნიშვნელოვანია, ხელშეკრულება დეტალურად წაიკითხოთ, კარგად გაიაზროთ პირობები და მას მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროთ ხელი.

სამსახურის შერჩევამდე შეაფასეთ კრიტერიუმები, რომლებიც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ, მაგალითად:

ორგანიზაციული კულტურა - ეს არის შეთანხმებული წესების, ეთიკის ნორმებისა და ქმედებების ერთობლიობა, რომელიც ორგანიზაციაში არსებულ გარემოს ქმნის. ორგანიზაციული კულტურის ნაწილია ასევე ღირებულებები, რწმენა, შეხედულებები, საქმიანობის სტანდარტები და სხვ.

სამუშაოს მიღმა აქტივობები - თანამშრომლებთან ერთად განსხვავებულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა. მსგავსი აქტივობები თანამშრომლებს შორის არაფორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, ზრდის ჩართულობის, ასვე ლოიალობის დონეს, რაც, საბოლოო ჯამში, სამუშაოს პროდუქტიულობაზე დადებითად აისახება.

კომპანიის საქმიანობის სფერო - ორგანიზაციის საქმიანობის სფერო თანხვედრაში უნდა იყოს თქვენს ღირებულებებთან და პრინციპებთან. თუ აზარტული თამაშების პოპულარიზაციის წინააღმდეგი ხართ, საარაუდოდ, ამ სფეროსთან დაკავშირებულ ორგანიზაციაში მუშაობა თქვენთვის მიუღებელი იქნება; თუ თქვენ ვეგეტარიანელი ხართ, შესაძლოა, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოში დასაქმება არ მოგინდეთ.

მატერიალური და არამატერიალური სარგებელი - ანაზღაურება, პრემია, ბონუსი, შვებულების დღეები, დაზღვევა, კერძო საპენსიო ფონდი, გამაჯანსაღებელი და ფიტნეს ცენტრებით სარგებლობა, ფასდაკლებები, სასწავლო კურსების დაფინანსება და ა.შ.

სამუშაო ადგილის მდებარეობა - რა დრო და ხარჯი დაგჭირდებათ სამსახურამდე მისასვლელად.

1.3 შრომითი უფლებები

სამსახურის დაწყებამდე საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში გარკვევა მეტად მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შრომითი ხელშეკრულების ყურადღებით გაცნობა აუცილებელია. შრომით ურთიერთობებს საქართველოში საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს.

შრომის კოდექსი დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებებისა და ვალდებულებების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს მოიცავს. მაგალითად, დამსაქმებელს მოეთხოვება, რომ შერჩევის პროცესის განმავლობაში ურთიერთობები თანასწორუფლებიანი, ურთიერთშეთანხმებული იყოს, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ანუ ადამიანის გამორჩევა რაიმე სახით, მათ შორის, გენდერული ნიშნით, კანის ფერის, ასაკის, სქესის, შეხედულებების და ა.შ. მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მუშაობის დაწყება და ანაზღაურების მიღება 16 წლიდან არის შესაძლებელი. 16 წლამდე არასრულწლოვანს დასაქმების უფლება მხოლოდ მშობლის ან მეურვის თანხმობით აქვს. ამასთან, შრომითი ურთიერთობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვანის ინტერესებს, არ უნდა აყენებდეს ზიანს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უნდა უშლიდეს ხელს მის განათლებას. კანონმდებლობა კრძალავს მოზარდისთვის მონოტონური სამუშაოს მიცემას, სიმძიმეებთან და ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებთან მუშაობას. მოზარდისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცის მოწყობასაც კანონი განსაზღვრავს. შეზღუდულია ასევე არასრულწლოვნების სამუშაო დრო. მაგალითად, 16-იდან 18 წლამდე ახალგაზრდას შეუძლია იმუშაოს კვირაში მაქსიმუმ 36, ხოლო დღეში - მაქსიმუმ 6 საათი. აღნიშნული რეგულაციების მთავარ მიზანს მოზარდის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნება და მისი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

კოდექსის მიხედვით, არაანაზღაურებადი სტაჟირების მაქსიმალური ვადა 6 თვე, ხოლო ანაზღაურებადის - 1 წელი შეიძლება იყოს. გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია, ხოლო მისი ხანგრძლივობა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

1.4 რას ნიშნავს შრომის დანაწილება?

ზემოთ ვთქვით, რომ მრავალი პროფესია არსებობს. ეს იმიტომ, რომ ადამიანები შრომას ინაწილებენ. მაგალითად, ორგანიზაციაში შესასრულებელი სამუშაო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით ნაწილდება, ანუ მარტივად, რომ ვთქვათ, თითოეულმა თანამშრომელმა ის საქმე უნდა აკეთოს, რაშიც სპეციალიზდება და რაც კარგად იცის და გამოსდის. შრომის დანაწილება არის პრაქტიკა, რომელშიც ადამიანს კონკრეტულ სამუშაოზე კონცენტრირების საშუალება ეძლევა.

დღევანდელ რეალობაში ადამიანები კონკრეტულ პროფესიაში სპეციალიზდებიან, კონკრეტულ უნარებს ითვისებენ და კონკრეტულ სამუშაოს ასრულებენ და შემდეგ, თავიანთი სპეციალიზაციით გამომუშავებული ფულით მათთვის საჭირო პროდუქტსა და მომსახურებას სხვა სპეციალისტებისგან იძენენ. საერთოდ, ადამიანები დიდი რაოდენობით და მრავალფეროვან პროდუქტსა თუ მომსახურებას მოვიხმართ. ყველაფერს თავად ვერ შევქმნით - ჩვენი რესურსებიც შეზღუდულია და ხარისხიანად დასამზადებლად არც ცოდნა, და არც დრო გვეყოფა. ამიტომ, ადამიანი იმ პროდუქტს აწარმოებს, რაშიც სპეციალიზდება და შემდეგ ამ პროდუქტსა თუ მომსახურებას მისთვის სასურველში ცვლის. შრომის დანაწილების პირდაპირი ეფექტი იმაშია, რომ სპეციალიზაციით ადამიანი თავის უპირატეს მხარეებს იყენებს და უკეთეს შედეგს აღწევს.

ქვეყნებისა და საზოგადოებების შემთხვევაშიც იგივე კანონზომიერება მოქმედებს.

სპეციალიზაცია და გაცვლა იმიტომ ხდება, რომ რესურსები არათანაბრად არის გადანაწილებული. ასევე, არსებობს შედარებითი უპირატესობა, რაც ნიშნავს, რომ ერთ მხარეს პროდუქტის და/ან მომსახურების შექმნა უფრო ნაკლები ალტერნატიული დანახარჯით შეუძლია, ვიდრე მეორეს (აბსოლუტური უპირატესობა არის, როდესაც ერთ მხარეს ერთი და იმავე რესურსებით უფრო მეტი პროდუქტის წარმოება შეუძლია, ვიდრე მეორეს). აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ადვილად გასაგებად, მაგალითისთვის წარმოიდგინეთ 2 ოჯახი, რომელიც ორ პროდუქტს - ტანსაცმელსა და ხორცს აწარმოებს (და დავუშვათ, რომ ამისთვის ერთსა და იმავე რესურსს - 100 საათ შრომას მოიხმარს):

	ტანსაცმელი	ხორცი
ოჯახი N1	5	10
ოჯახი N2	4	6

პირველ ოჯახს აქვს აბსოლუტური უპირატესობა ორივე პროდუქტის წარმოებაში, რადგან იგივე რესურსებით უფრო მეტ ტანსაცმელს და უფრო მეტ ხორცს აწარმოებს, ვიდრე მეორე ოჯახი.

ახლა ვნახოთ, რამდენი იქნება ალტერნატიული დანახარჯი თითოეული ოჯახის შემთხვევაში, ანუ რა უნდა დათმოს ოჯახმა ამა თუ იმ პროდუქტის საწარმოებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი პროდუქტის ღირებულება უნდა გამოვსახოთ მეორე პროდუქტის ერთეულებში. მაგალითად, პირველ ოჯახს 1 ერთეული ხორცის წარმოება უჯდება 0.5 ერთეული ტანსაცმელი (5:10), მეორე ოჯახს კი - 0.66 ერთეული ტანსაცმელი (4:6). ესე იგი, პირველმა ოჯახმა 1 ერთეული ხორცის საწარმოებლად 0.5 ერთეული ტანსაცმელი უნდა დათმოს, მეორემ კი - 0.66. ეს ნიშნავს, რომ პირველი ოჯახისთვის ხორცის წარმოების ალტერნატიული დანახარჯი უფრო ნაკლებია (რადგან ნაკლებ ტანსაცმელს თმობს), ანუ მას შედარებითი უპირატესობა ექნება ხორცის წარმოებაში.

შრომის დანაწილება, ანუ სპეციალიზაცია ვაჭრობის ეკონომიკური საფუძველია, თავის მხრივ, ვაჭრობა - ეკონომიკის განვითარების კომპონენტია. ვაჭრობით ადამიანებს უფრო ნაკლები ხარჯით შეუძლიათ მრავალფეროვანი პროდუქტისა და მომსახურების მიღება, ვიდრე ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. ვაჭრობისას ორივე მხარე მოგებულია, რადგან თითეული იმას იღებს, რაც მისთვის უფრო ღირებულია, ვიდრე ის, რასაც თმობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაჭრობა, როგორც ადამიანებს, ასევე ქვეყნებს, ურთიერთდამოკიდებულს ხდის.

მაგალითად, არსებობს ორი ქვეყანა A და B, რომელთაგან ორივეს შეუძლია ხორბლის და კომპიუტერების წარმოება. როგორ სჯობს, თითოეულმა ქვეყანამ აწარმოოს ორივე საქონელი და თავისი ქვეყნის შიგნით გაყიდოს, თუ მაგალითად, A ქვეყანა სპეციალიზდეს ხორბლის წარმოებაზე, B - კომპიუტერებისაზე და პროდუქცია ერთმანეთში გაყიდონ? კითხვაზე პასუხი ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებისთვის თითოეული ქვეყნის მიერ გაწეულ ალტერნატიულ დანახარჯზე იქნება დამოკიდებული. თუ A ქვეყანას ხორბლის წარმოება ნაკლები ალტერნატიული დანახარჯით შეუძლია, მას შედარებითი უპირატესობა წარმოების ამ მიმართულებაში აქვს და ამიტომ, სჯობს ხორბალი ჭარბად აწარმოოს და B-საც მიჰყიდოს. ანალოგია B-ზეც ვრცელდება თუკი, მას შედარებითი უპირატესობა კომპიუტერის წარმოებაში აქვს.

საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით უფრო მეტს მომდევნო კლასებში შეიტყობთ.

სამუშაო ფურცელი 1.1 პროფესიის არჩევა

მოსწავლეები იწყებენ ფიქრს პროფესიებზე და ტესტის საშუალებით მათთვის შესაფერის ვერსიებს განიხილავენ.

ა) კარიერის არჩევამდე უნდა დაფიქრდეთ, რა მოგწონთ, რისი კეთება გიყვართ და რა გამოგდით კარგად. გაეცანით ქვემოთ მოცემულ ცხრილს. პირველ სვეტში სხვადასხვა

აქტივობაა ჩამოწერილი. შეარჩიეთ მათგან რომელია თქვენთვის საინტერესო, ანუ რისი კეთებაც მოგწონთ და **გაფერადებულ** უჯრაში მის გასწვრივ X ჩაწერეთ, ხოლო იმ აქტივობის გასწვრივ, რომელიც თქვენ არ გაინტერესებთ და რომლის კეთებაც არ მოგწონთ, **გაფერადებული** უჯრა ცარიელი დატოვეთ.

მე მომწონს	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**
ელექტრონული ხელსაწყოების შეკეთება						
გუნდურ სპორტულ თამაშებში მონაწილეობა						
ესკიზების შექმნა, ხატვა, ღებვა						
ზუსტი ჩანაწერების გაკეთება, აღრიცხვა						
საკითხების განზოგადება						
ანგარიშების წერა						
ნივთების გაყიდვა						
მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა						
კარვის აწყობა						
მკაფიოდ განსაზღვრული მითითებების შესრულება						
აქტივობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა						
თანამდებობაზე არჩევა						
მათემატიკური ამოცანების ამოხსნა						
რიცხვებთან და მონაცემებთან მუშაობა						
ადამიანების დახმარება						
მოთხრობებისა და ლექსების წერა						
კონცერტებსა და გამოფენებზე დასწრება						
ოფისის გარეთ მუშაობა						
კომპიუტერის გამოყენება						
დეტალებზე კონცენტრირება						
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება						
სიმღერა, ცეკვა, მსახიობობა (გარდასახვა, როლის განსახიერება)						

მნიშვნელოვან ადამიანებთან შეხვედრა					■	
შენება	■					
ჯგუფური დისკუსიის წარმართვა				■		
დოკუმენტებთან მუშაობა						■
ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარება		■				
მიკროსკოპის გამოყენება		■				
მხატვრული ლიტერატურის, პოეზიის, სცენარების კითხვა			■			
სიტყვით გამოსვლა, პრეზენტაციის ჩატარება					■	
აქტივობების და ღონისძიებების ორგანიზება					■	
ფიზიკური აქტივობა	■					
კონფლიქტური სიტუაციების დროს შუამდგომლობა				■		
სწავლება, გამოცდილების გაზიარება				■		
დამოუკიდებლად მუშაობა		■				

ბ) ახლა ვნახოთ, რას გამოხატავს თქვენ მიერ მონიშნული უჯრები. თავდაპირველად, თითოეულ სვეტში მონიშნული უჯრების რაოდენობა დათვალეთ და დააჯამეთ , მაგ., რამდენი უჯრა მონიშნეთ 1-იანის ქვეშ, 2-იანის ქვეშ და ა.შ. შემდეგ, 3 ყველაზე დიდი რიცხვი შემოხაზეთ.

1	2	3	4	5	6

1. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #1 - ისეთი აქტივობები გაინტერესებთ, რომლებიც კოორდინაციას და ფიზიკურ სიძლიერეს მოითხოვს. რეალურ ამოცანებთან/პრობლემებთან გამკლავება უფრო გიყვართ, ვიდრე თეორიულთან. სავარაუდოდ, სამეცნიერო, ან ტექნიკური სფერო მეტად დაგაინტერესებთ.

2. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #2 - თავად გსურთ საკითხებში გარკვევა და საქმიანობის ორგანიზება, სხვა ადამიანების დარწმუნებით ნაკლებ ინტერესდებით. მოგწონთ ინდივიდუალური მუშაობა. ადამიანებზე მეტად, რიცხვებსა და მონაცემებზე ხართ ორიენტირებული.

3. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #3 - მოგწონთ თვითგამოხატვა, სიმკაცრე და სტუქტურირებულობა გაწუხებთ, ემოციურობისკენ ხართ მიდრეკილი. სავარაუდოდ, ხელოვნება დაგაინტერესებთ.

4. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #4 - სხვა ადამიანებისთვის სიახლეების გაზიარება თქვენთვის სასიამოვნოა. ფეხბურთის თამაშზე მეტად, მეგობართან საუბარი გიტაცებთ. ადამიანები გაინტერესებთ, კარგი მსმენელი ხართ. დახმარებისთვის და პრობლემების გადასაწყვეტად მეგობრები ხშირად მოგმართავენ.

5. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #5 - კარგი ვერბალური უნარები გაქვთ და მას სხვა ადამიანების დასარწმუნებლად ეფექტურად იყენებთ. თქვენგან, სავარაუდოდ, კარგი გაყიდვების აგენტი ან პოლიტიკოსი გამოვა.

6. თუ თქვენს სამეულში შედის უჯრა #6 - წესები და რეგულაციები თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, განსაკუთრებით, როცა ყველაფერს თავად აკონტროლებთ. მოგწონთ წესრიგი და ორგანიზებულობა. არეული საქმეები და ნივთები (ქაოსი) წონასწორობას გიკარგავთ. მოგწონთ დავალებები, რომლებიც სიზუსტეს მოითხოვს.

გ) ქვემოთ მოცემული პროფესიული სფეროები თქვენი პასუხებიდან გამომდინარე პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეთ: (1 - ყველაზე მეტად შესაბამისი, 6 - ყველაზე ნაკლებად შესაბამისი).

	ხელოვნება და კომუნიკაცია (მსახიობი, მოცეკვავე, ახალი ამბების წამყვანი...)
	ბიზნესი და ტექნოლოგია (ბუღალტერი, ბანკირი, ტურისტული აგენტი...)
	ტექნიკა და ინდუსტრია (ინჟინერი, მექანიკოსი, ხელოსანი...)
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ბიოლოგი, ფლორისტი...)
	ჯანდაცვა (ექიმი,სტომატოლოგი,კლინიკისადმინისტრატორი...)
	მომსახურება (მზარეული, მასწავლებელი, იურისტი...)

სამუშაო ფურცელი 1.2 პროფესიების შედარება

მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე პროფესიას და იკვლევენ, რა ვაკანსიებია ამ პროფესიისთვის და რა ცოდნა და უნარები მოითხოვება დასაქმებისთვის.

შეარჩიეთ ორი ან სამი განსხვავებული პროფესია (ან სფერო), რომელიც გაინტერესებთ, ან რომლის შესახებაც მეტი ინფორმაციის მოძიება გსურთ და ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაწერეთ. თქვენ მიერ შერჩეული პროფესიის შესაბამისად ინტერნეტში ვაკანსიების საძიებო გვერდებსა (მაგალითად, jobs.ge, hr.gov.ge, hr.ge, ss.ge, upwork.ge და ა.შ) თუ სოციალურ ქსელში LinkedIn სამსახური მოიძიეთ. გაეცანით, წარმოდგენილი ვაკანსიის შესაბამის

თანამდებობრივ მოთხოვნებს, ანუ რა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება დაგეკისრებათ და შესაბამისად, მათ შესასრულებლად რა განათლება, ცოდნა, უნარები, პიროვნული თვისებები მოგეთხოვებათ. აქვე ნახეთ ინფორმაცია გამოცხადებულ ვაკანსიასთან დაკავშირებული პირობების შესახებ: საშუალო ხელფასი, ბონუსების სისტემა და ა.შ. არ იცით, რომელი სფერო აირჩიოთ? ცოტაოდენი დრო საკუთარ ინტერესებსა და უნარებზე დაფიქრებას დაუთმეთ. ჩამოწერეთ:

1. რისი კეთება გიყვართ?

2. რა გაინტერესებთ?

3. რისი კეთება გამოგდით კარგად?

4. რომელ პროფესიასთან დაკავშირებით გსურთ მეტი ინფორმაციის გაგება?

პროფესია (სფერო)			
სამუშაოს დასახელება			
სამუშაოს აღწერა			
განათლება/ტრენინგები			
უნარები			
საშუალო ხელფასი			

სამუშაო ფურცელი 1.3 როლური თამაში „პიცა მზადაა“

მოსწავლეები შრომის დანაწილების დადებით და უარყოფით მხარეებს როლური თამაშით აცნობიერებენ.

მოსწავლეებს შორის შეფ მზარეულის როლზე შეარჩიეთ მოხალისე, რომელსაც სტანდარტული პიცის დამზადება დაევალება.

განსაზღვრეთ პიცის სტანდარტი: მაგ., მრგვალი ფურცელი, რომელზეც ყავისფერი მარკერით 6 ერთნაირი ზომის მრგვალი ძეხვის ნაჭერი და წითელი მარკერით 4 ერთნაირი ზომის ოვალური პომიდორი იქნება გამოსახული. დამზადებული პიცებიც ერთნაირი ზომის უნდა იყოს. დამზადებისთანავე, მზარეულმა ზარს უნდა დაჰკრას ხელი და წარმოთქვას: „პიცა მზად არის!“.

მოსწავლეები გააფრთხილეთ, რომ სტანდარტთან შეუსაბამო პიცას არ მიიღებთ.

განსაზღვრეთ რესურსები: თითოეული „მზარეულისთვის“ 1 წითელი და 1 ყავისფერი მარკერი, თაბახის ფურცლები, 1 მაკრატელი, 1 ზარი, 1 სამუშაო მაგიდა და შემოსაზღვრული

სამუშაო სივრცე. თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრეთ დრო - 2-3 წუთი.

თავდაპირველად, ერთ მოხალისეს მოუწევს მთელი სამუშაო ციკლის შესრულება. შემდეგ, ახალი თანამშრომლის აყვანა შესთავაზეთ, რომელიც სამუშაოს, ასევე, დამოუკიდებლად შეასრულებს. ამის შემდეგ, დაუმატეთ ჯერ მესამე, შემდეგ მეოთხე თანამშრომელი და რამდენიმე წრეზე ასე ითამაშეთ. ყოველი თამაშის შემდეგ შეამოწმეთ პიცები და სტანდარტის შესაბამისად დამზადებულების რაოდენობა დაფაზე ჩამოწერეთ. თუ მოსწავლეები, თავდაპირველად, სამუშაოს სრულ ციკლს დამოუკიდებლად ასრულებდნენ, მიღებული შედეგებით და გამოცდილებით შრომის დანაწილების გადაწყვეტილებამდე თავად მივლენ. მათთვის ცხადი გახდება, შესასრულებელი სამუშაოს ისეთი გადანაწილების ეფექტიანობა/უპირატესობა, რომელშიც დაევალებათ: ერთმა ფურცელი დაჭრას, მეორემ მარკერით ძეხვი დახატოს, მესამემ პომიდორი დახატოს, მეოთხემ ზარს დაჰკრას ხელი და წარმოთქვას - „პიცა მზად არის!“

ანალიზისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ კონკრეტულ ქმედებაზე დასპეციალიზდნენ და შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე იმსჯელებენ.

სამუშაო ფურცელი 1.4 გადაწყვეტილების მიღება

მოსწავლეები განიხილავენ მოცემულ სიტუაციას და იღებენ გადაწყვეტილებას, თავად რომელ უნივერსიტეტში ჩააბარებდნენ. მოსწავლეები მიღებულ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ.

სიტუაცია:

ანა მე-12 კლასის მოსწავლეა. მას სწავლის გაგრძელების და ერთი კონკრეტული პროფესიის მიღების სურვილი აქვს. იგი ფიქრობს, უპირატესობა გერმანულ ენას მიანიჭოს, თუმცა, მომავალში შეიძლება აზრი შეიცვალოს. ანა სამ დედმამიშვილს შორის უფროსია, ოჯახიდან კი, პირველი, ვინც სწავლას უნივერსიტეტში გააგრძელებს. მან ჯერ არ იცის, სწავლის გაგრძელება რომელ უნივერსიტეტში იქნება მისთვის უკეთესი. ანამ სამი საორიენტაციო ვარიანტი შეარჩია:

უნივერსიტეტი N1 – სახელმწიფო უნივერსიტეტი, მდებარეობს სახლთან ახლოს, აქვს კარგი რეპუტაცია. მისი ზოგიერთი მეგობარი სწავლის გაგრძელებას ამ უნივერსიტეტში გეგმავს, ორი უახლოესი მეგობარი კი - არა. სახელმწიფო გრანტის ვერ მიღების შემთხვევაში, სწავლის საფასური მისაღებია.

სახელმწიფო უნივერსიტეტი N2 - მსოფლიოში ცნობილი დიდი სახელმწიფო უნივერსიტეტია. სწავლის საფასური მისაღებია, რასაც საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მგზავრობის ხარჯებიც ემატება. იქ ანას ორი მეგობარი აპირებს ჩაბარებას.

გერმანულენოვანი უნივერსიტეტი N3 - მისი გერმანული ენის ფაკულტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია. სწავლის საფასური მაღალია, ოჯახიდან, ქვეყნიდან ძალიან შორს იქნება და ანას არც ერთი მეგობარი აპირებს ჩაბარებას. პერსპექტივისთვის კი ძალიან მიმზიდველია: იქ სწავლის პარალელურად გერმანულენოვან კომპანიაში დასაქმების, შესაბამისი ანაზღაურების მიღების და ენის პრაქტიკის გავლის საუკეთესო შესაძლებლობა ექნება.

რომელ უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს ანამ და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი. მეტი ინფორმაციის მოძიება ხომ არ სჭირდება? თუ პასუხი დადებითია, მაშინ რას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა?

სამუშაო ფურცელი 1.5 დასაქმებულის უფლებები

მოსწავლეები განიხილავენ სიტუაციას და დასაქმებულის უფლებებზე მსჯელობენ. კლასი რამდენიმე მცირე ჯგუფად გაყავით. თითოეულს დაურიგეთ სიტუაცია და ყუთიდან ფერადი სტიკერის/ფურცლის ამოღება სთხოვეთ, სადაც მითითებული იქნება, ვისი პოზიციის დაცვა მოუწევთ: ანასი, როგორც დასაქმებულის, თუ უფროსის, როგორც დამქირავებელის. თითოეული ჯგუფის მოვალეობაა, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

1. დაირღვა თუ არა ანას უფლებები?
2. ჰქონდა თუ არა დამქირავებელს ამგვარი პასუხის უფლება?
3. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ანამ?

სიტუაცია:
ანა საქართველოს ერთ-ერთი სკოლის X კლასის მოსწავლეა. სამ თვეში მას ოქროს დაბადების დღე აქვს (16 წელი უსრულდება) და ამ დღის აღნიშვნაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი აქვს. ამ მიზნით ანამ სკოლაში სიარულის პარალელურად შესაფერისი სამუშაოს მოძებნა განიზრახა. არჩევანი სწრაფი კვების ერთ-ერთ ობიექტზე შეაჩერა, რომელიც მის სახლთან ახლოს მდებარეობს და გზაში დიდ დროს არ დაკარგავს. ორგანიზაციის მესვეურებმა გასაუბრებაზე ანას არგუმენტები მოისმინეს, დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს და სამუშაოს დაწყება მეორე დღიდან შესთავაზეს. სამუშაო დრო დღეში 6, და კვირაში მაქსიმუმ 30 საათით განისაზღვრა. სკოლის შემდეგ, რომ არ დაეგვიანა, ანა სამსახურში გარბოდა, შემდეგ 6 საათი მუშაობდა და გვიან დაღლილი ბრუნდებოდა სახლში. შედეგად, სკოლის საგნების სათანადოდ მომზადებას ვეღარ ასწრებდა, თუმცა, იმედოვნებდა, რომ სირთულეები დროებითი იყო და სამ თვეში მეცადინეობას კვლავ გულმოდგინედ შეუდგებოდა, რაც მომდევნო სემესტრის შეფასებებსაც დაეტყობოდა. ანა სამსახურში ასაკით ყველაზე უმცროსი იყო და ხშირად სხვა ფუნქციების შეთავსებას, სამუშაო საათების შემდეგ შრომას და ა.შ. სთხოვდნენ, რაზედაც უარს ვერ ამბობდა და ყოველთვის ასრულებდა. სამოქალაქო განათლების ერთ-ერთ გაკვეთილზე ანამ შეიტყო, რომ ზეგანაკვეთური შრომა ანაზღაურებადია. რადგან თანხას მისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ ანამ უფროსთან გასაუბრება გადაწყვიტა. ზეგანაკვეთური ანაზღაურებს მოთხოვნაზე უფროსისგან უარი მიიღო. „თუ არ მოგწონს, შეგიძლია წახვიდე“ - საბოლოო პასუხი ასეთი იყო.

სამუშაო ფურცელი 1.6 ტესტი

შეეცადეთ, სრულად უპასუხოთ დავალებებს.

1. დაასახელეთ შემოსავლის მიღების წყაროები.

---

2. ჩამოთვალეთ კრიტერიუმები, რაც მნიშვნელოვანია პროფესიის არჩევისას.

---

3. განმარტეთ, რა არის შრომის დანაწილება?

სწორია თუ არასწორი?

1. კარიერა ნიშნავს შრომით საქმიანობას, რომელიც სპეციალურ განათლებას, მომზადებასა და უნარებს მოითხოვს. სწორია / არასწორია
2. მოხალისე არის ადამიანი, რომელიც საკუთარ დროსა და შრომას ანაზღაურების გარეშე გასცემს. სწორია / არასწორია
3. ლაშა 17 წლისაა და კანონმდებლობით მისი სამუშაო დრო კვირაში 36 საათზე მეტი არ უნდა იყოს. სწორია / არასწორია

სასარგებლო/გამოყენებული რესურსები

• FDIC – Money Smart for young People
https://catalog.fdic.gov/catalog/s/?selCategoryNm=a1Et0000003mPBTEA2 (გაკვეთილი 1)
https://catalog.fdic.gov/catalog/s/?selCategoryNm=a1Et0000003mPBUEA2#cats (გაკვეთილი 1)

• Visa – Practical Money Skills
https://www.practicalmoneyskills.com/teach/lesson_plans/grades_7_8 (გაკვ. 2)
https://www.practicalmoneyskills.com/teach/lesson_plans/grades_9_12 (გაკვ. 5)

• National Council for Economic Education - Financial fitness for life – student workouts grades 6-8 (გაკვეთილი 3, 5, 17)

• National Council for Economic Education – Middle School Economics (გაკვეთილი 11, 16)

• https://www.econedlink.org/resources/division-of-labor-specialization-video-and-quiz/

• ფინანსური განათლების პორტალი www.finedu.gov.ge
https://finedu.gov.ge/ge/studentoba-1
https://finedu.gov.ge/ge/akhali-samsakhuri-2

• საქართველოს შრომის კოდექსი:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=24

საკითხი 2: სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები

ქვესაკითხები:

- რატომ ვიხდით გადასახადებს?
- რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი?
- რა გადასახადები არსებობს?
- როგორ აისახება გადასახადები პირად ფინანსებზე?

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებმა იციან, როგორ დგება სახელმწიფო ბიუჯეტი და როგორ იკვეთება პრიორიტეტები ბიუჯეტის დაგეგმვისას;
- მოსწავლეები ეცნობიან გადასახადის სახეებს;
- მოსწავლეებმა იციან, რა სფეროებში იხარჯება მათ მიერ გადასახადებით გადახდილი თანხა;
- მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ბიუჯეტი სახელმწიფოსთვის სხვადასხვა ფუნქციის განხორციელების საშუალებაა.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს ესმით, რატომ იხდიან მოქალაქეები გადასახადებს;
- მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულობით საკუთარი წვლილი შეაქვთ ბიუჯეტის შევსებაში;
- მოსწავლეებმა იციან, რა სხვაობაა დარიცხულ და ხელზე ასაღებ ხელფასს შორის;
- მოსწავლეები აანალიზებენ გადასახადების გავლენას მათ პირად ფინანსებზე.

მნიშვნელოვანი ცნებები:

გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტი, საშემოსავლო გადასახადი, დარიცხული ხელფასი, ხელზე ასაღები ხელფასი

თემატური საკვანძო შეკითხვები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს?
თემატური მკვიდრი წარმოდგენები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება.

2.1 რატომ ვიხდით გადასახადებს?

პროფესიასა და სამსახურის ძიებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ყურადღებას მიაქცევდით ტერმინებს - დარიცხული და ხელზე ასაღები ხელფასი. ახლა მათი მნიშვნელობები გავიგოთ.

ხელფასს ან სხვა სახით მიღებულ შემოსავალს თქვენს საჭიროებებსა (აუცილებელი

ხარჯები) თუ სურვილებზე (არააუცილებელი ხარჯები) ხარჯავთ, თუმცა, სანამ შემოსავალი თქვენს განკარგულებაში გადმოვა, თქვენი ხელფასიდან გარკვეული თანხა (კონკრეტულად კი, ხელფასის 20%) გეჭრებათ და საშემოსავლო გადასახადის სახით სახელმწიფო ხაზინაში მიდის. ეს გადასახადი კომუნალურ გადასახადებში არ აგერიოთ.

მაგალითად, თუ საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე თქვენი ხელფასი 1000 ლარია, ეს ნიშნავს, რომ 1000 ლარი არის თქვენი დარიცხული ხელფასი. ამ თანხის, 20%, ანუ 200 ლარი, საშემოსავლო გადასახადი იქნება. გადასახადის გადახდის შემდეგ, თქვენს განკარგულებაში 800 ლარი, ანუ ხელზე ასაღები ხელფასი, რჩება[1] .

შეიძლება ჩათვალოთ, რომ თქვენ იმდენი ხელფასი გაქვთ, რამდენსაც ხელზე იღებთ. რეალურად კი, ასე არ არის, რადგან საშემოსავლო გადასახადს ძირითადად დამსაქმებელი იხდის და თქვენ უკვე დაბეგრილ, ანუ ხელზე ასაღებ ხელფასს აიღებთ. ანუ, თქვენ არ გიწევთ საშემოსავლო გადასახადის თავად გადახდა - ეს თქვენი დამსაქმებლის ვალდებულებაა.

რატომ იღებს სახელმწიფო ჩვენგან გადასახადებს?

VII კლასში ისწავლეთ, რომ არსებობს საქონელი და მომსახურება, რომლის მომწოდებელიც არა ბიზნესი, არამედ სახელმწიფოა. ეს არის საჯარო საქონელი, რომლით სარგებლობაც ყველას შეუძლია და რომელიც „უფასოა“ იმ აზრით, რომ მას პირდაპირ არ ყიდულობთ და მასში კონკრეტულ ფასს არ იხდით. ამის მაგალითია: ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, შუქნიშნები, პარკები/სკვერები, საჯარო სკოლები, ქვეყნის უსაფრთხოება, თავდაცვა და სხვა. თუმცა, აღნიშნული საქონელი და მომსახურება უფასო არ არის, მათი დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტში ადამიანებისა და კომპანიების მიერ გადახდილი გადასახადებია. ჩვენ ვიხდით გადასახადებს, სანაცვლოდ ვიღებთ: უსაფრთხოებას, მოწესრიგებულ ინფრასრუქტურას, ჯანდაცვას და ა.შ. მარტივად რომ ვთქვათ, გადასახადების მთავარი დანიშნულება სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისთვის ფინანსური შესაძლებლობის შექმნაა.

დაწესებულმა გადასახადმა, შეიძლება, სხვა ფუნქციაც შეასრულოს - მთავრობამ, შესაძლოა, გადასახადი მრეწველობის გარკვეული დარგის დასაცავად შემოიღოს. მაგალითად, მრავალი წლის განმავლობაში ქართული ღვინის კომპანიებს უცხოელი კონკურენტებისაგან საბაჟო ტარიფი (იმპორტზე დაწესებული გადასახადი) იცავდა. სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ღვინო უფრო ძვირი იყო, ვიდრე ტარიფის გარეშე იქნებოდა.

გადასახადები გარკვეული საქმიანობის წასახალისებლადაც გამოიყენება, როცა სახელმწიფო სხვადასხვა საგადასახადო შეღავათს აწესებს. მაგალითად, აშშ-ს მთავრობას სურდა, რომ საწარმოებს თავიანთი საწარმოო საშუალებები გაეახლებინათ და ამით მწარმოებლობა აემაღლებინათ. ამ მიზნით მთავრობა საგადასახადო შეღავათებს სთავაზობდა კომპანიებს, რომლებიც ახალ მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობას შეიძენდნენ.
გადასახადების დაწესების აუცილებლობა და ოდენობა არც ისე იშვიათად ხდება დავის საგანი.

საბოლოოდ, გადასახადი შეიძლება ასე განვმარტოთ: სავალდებულო, აუცილებელი ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში.

გადასახადის გადახდით, პირდაპირ ვერაფერს ყიდულობთ (ანუ გადასახადი უსასყიდლო ხასიათისაა) და გადახდილი გადასახადის ოდენობა საზოგადოებრივი სიკეთეებით სარგებლობის პირდაპირპროპორციულიც არ არის (ანუ გადასახადი არაეკვივალენტური ხასიათისაა).

1 მაგალითისათვის ვუშვებთ, რომ სხვა, მაგალითად, დაგროვებითი პენსიების დაქვითვები დარიცხული ხელფასიდან არ ხდება.

დამატებითი ინფორმაცია

გადასახადით დაბეგვრის პრინციპები
გადახდისუნარიანობით დაბეგვრის პრინციპი გულისხმობს, რომ მთავრობამ ადამიანები უნდა დაბეგროს მათი შემოსავლის მიხედვით. ერთ-ერთი მოსაზრებით, სხვადასხვა შემოსავლის მქონეთათვის საგადასახადო განაკვეთები ერთნაირი უნდა იყოს. სხვა მოსაზრებით კი, საგადასახადო განაკვეთები მეტი შემოსავლის მქონეთათვის უფრო მაღალი უნდა იყოს. შესაბამისად, განასხვავებენ პროპორციულ, პროგრესულ და რეგრესიულ გადასახადებს.

პროპორციული გადასახადის შემთხვევაში, მაღალშემოსავლიანი და დაბალ-შემოსავლიანი გადამხდელები ერთი და იმავე განაკვეთით იბეგრებიან. პროპორ-ციულ გადასახადს სხვანაირად ერთგვაროვან გადასახადსაც უწოდებენ. ამა თუ იმ პირის შემოსავლის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდება მისი საშემოსავლო გადასახადიც, რაც ერთგვაროვან განაკვეთს შეადგენს.
მაგალითად, პროპორციული გადასახადის დროს, წელიწადში 100 000 ლარის და წელიწადში 25 000 ლარის შემოსავლის მქონე პირები გადასახადს ერთი და იმავე განაკვეთით, ამ შემთხვევაში 20%-ით გადაიხდიან (ანუ შემოსავლის ერთნაირ წილს იხდიან). მაღალი შემოსავლის მქონე პირის შემთხვევაში გადასახადის ოდენობა 20 000 ლარი (100 000 X 20%), ხოლო დაბალშემოსავლიანი პირის შემთხვევაში 5 000 ლარი (25 000 X 20%) იქნება. ამ შემთხვევაში, მაღალშემოსავლიანის შემოსავალიცა და გადასახადიც ოთხჯერ უფრო მეტია.

პროგრესული გადასახადის შემთხვევაში, მაღალშემოსავლიანი გადამხდელები უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრებიან, ვიდრე დაბალშემოსავლიანი გადამხდელები.
წინა მაგალითის საპირისპიროდ, პროგრესული გადასახადი შეძლებულებს შემოსავ-ლის უფრო მეტი ნაწილის გადახდას ავალდებულებს. დავუშვათ, რომ წელიწადში 100 000 ლარი შემოსავლის მქონე იხდის 40%-იანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო 25 000 ლარიანი წლიური შემოსავლის მქონე - 20%-იანი საგადასახადო განაკვეთით. ასეთ შემთხვევაში, უფრო მაღალშემოსავლიანის მიერ გადახდილი გადასახდის ოდენობა 40 000 ლარია (100 000 X 40%), უფრო დაბალშემოსავლიანის კი - 5 000 ლარი (25 000 X 20%). ამის შედეგად, ის, ვისი შემოსავალიც ოთხჯერ უფრო მეტია, რვაჯერ უფრო მაღალ გადასახადს იხდის. მაშასადამე, შემოსავლის ზრდის დროს მისი საშემოსავლო გადასახადი უფრო მაღალი პროპორციით იზრდება.

რეგრესიული გადასახადის შემთხვევაში კი, მაღალშემოსავლიანი გადამხდელი უფრო დაბალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე დაბალშემოსავლიანი.
მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ოჯახი და მაღალშემოსავლიანი ოჯახი ყიდულობს 500-500 ლარიან მაცივრებს. გაყიდვის გადასახადი 8 პროცენტს შეადგენს. ორივე ოჯახი გაყიდვის გადასახადის სახით ფიქსირებულ 40 ლარს იხდის. მაგრამ 40 ლარი დაბალშემოსავლიანი ოჯახის მთლიანი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს შეადგენს, მაღალშემოსავლიანი ოჯახის მთლიანი შემოსავალთან შედარებით.

2.2 რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი?

მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის. სახელმწიფოს, ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს, ოჯახსა თუ კომპანიას, ბიუჯეტი თავისი მიზნების განსახორციელებლად სჭირდება. პირადი ბიუჯეტის მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტიც შემოსავლებისა და გასავლების (ხარჯების) ერთობლიობაა,

რომელიც დროის კონკრეტული პერიოდით - 1 წლით განისაზღვრება. ყველა ქვეყანას თავისი ბიუჯეტი აქვს. სახელმწიფო ბიუჯეტი უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს წარმოადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ფუნქციებია[2]:

- დაადგინოს, მთავრობამ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად როგორ, რა სახის და რა მოცულობით მოიძიოს სახსრები (მაგ., სხვადასხვა სახის გადასახადიდან: დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვ.);
- დაადგინოს, მთავრობამ სხვადასხვა სფერო (მაგ., განათლება, თავდაცვა, ჯანმრთელობა, სოციალურ დაცვას და ა.შ.) როგორ, რა მოცულობით დააფინანსოს და შემოსავლები როგორ გაანაწილოს;
- განსაზღვროს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ზღვარი/ ლიმიტები.

ყურადსაღებია, რომ:

- ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.
- ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები.
- ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს.

იხილეთ საქართველოს 2023 წლის ბიუჯეტის ბროშურა (სურათი N1)

სურათი 1

საბიუჯეტო პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს: ბიუჯეტის ფორმირებას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. სახელმწიფო

2 *ამ თავში ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაგალითზეა განხილული და ის შეიძლება გარკვეული ელემენტებით განსხვავდებოდეს სხვა ქვეყნების შემთხვევაში*

ბიუჯეტის დამტკიცება და კონტროლი საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს, ხოლო მისი მომზადება, შესრულება და ანგარიშგება საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა. სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსულობის და გადასახდელის შესრულება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით ხდება.

მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებია გრანტები და სხვა შემოსავლები.

გრანტი - არის სახელმწიფოს მიერ დონორი ორგანიზაციისგან სხვადასხვა მიზნობრიობით უსასყიდლოდ მიღებული სახსრები. გრანტის მიზნობრიობა შეიძლება იყოს, მაგალითად, რეგიონული განვითარება, ჯანდაცვა, პროფესიული განათლება, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. სესხისგან განსხვავებით, გრანტის გამცემს სახელმწიფო ფულს არ უბრუნებს.

სხვა შემოსავლების მნიშვნელოვან წილს სახელმწიფო საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები (მაგალითად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლები (როგორიცაა ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები, ა.შ.) და ჯარიმები, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების გაყიდვიდან (პრივატიზაციიდან, ანუ სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლიდან) მიღებულ შემოსავლები შეადგენს.

ბიუჯეტში შემოსულ თანხას სახელმწიფო იყენებს:

- საზოგადოებისთვის სასარგებლო სფეროების გასავითარებლად, მაგ., განათლება, თავდაცვა და უსაფრთხოება, ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა და ა.შ
- მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მომსახურებების უზრუნველსაყოფად, მაგ., ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დახმარება, ტრანსპორტის განვითარება, სასამართლოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ა.შ.

როგორ დგება სახელმწიფო ბიუჯეტი? ქვეყნის მთავრობა, ყოველი წლის ბოლოს, განსაზღვრავს მომავალი წლის ბიუჯეტსა და პრიორიტეტებს: რა ოდენობის ფინანსური რესურსი უნდა შემოვიდეს გადასახადებიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი გრანტებიდან და სხვა წყაროებიდან და ასევე, რა თანხა უნდა დაიხარჯოს კონკრეტული სფეროების დასაფინანსებლად.

ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე მუშაობით იწყება. ეს არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც მაკროეკონომიკური პროგნოზები და ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებებია გათვალისწინებული.

ბიუჯეტის პრიორიტეტების სახელმწიფოს ძირითად მიზნებთან შესაბამისობა აუცილებელი მოთხოვნაა. აღწერილი უნდა იყოს, თუ რისი მიღწევა სურს სახელმწიფოს, არსებული ფინანსური რესურსებით. გაანალიზებული უნდა იყოს ქვეყნის მაკროეკონომიკური სიტუაცია და ფაქტობრივი და საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

პრიორიტეტები ძირითადად ცალკეულ პროგრამებს ემყარება. ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების განხორციელება ღონისძიებათა ერთობლიობით მიიღწევა.
ამ პროცესში ჩართულები არიან: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი, სხვა სამინისტროები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და ა.შ. მაგალითად, 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები იყო (სურათი N2):

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

სურათი 2

სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ნახვა ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე www.mof.ge შეგიძლიათ.

2.3 რა გადასახადები არსებობს?

დღეისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით ექვსი ძირითადი გადასახადია განსაზღვრული, რასაც სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან. ამ გადასახადებიდან ხუთი, თავს სახელმწიფო ბიუჯეტში იყრის და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია, ხოლო ერთი - ადგილობრივი

თვითმმართველობის ბიუჯეტში გროვდება და მას ადგილობრივ გადასახადს უწოდებენ. გადასახადები ორ ჯგუფად, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად იყოფა. პირდაპირი გადასახადი პირდაპირ ქონებასა ან შემოსავალზე წესდება, ხოლო არაპირდაპირი გადასახადი, როგორც წესი, მიწოდებული საქონლის/მომსახურების ფასში შედის, ზრდის ფასს და მას თქვენ, როგორც საბოლოო მომხმარებელი იხდით საქონლის/მომსახურების შეძენისას, ვინაიდან ის შედის ფასში, რომელსაც თქვენ იხდით.
საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- **საშემოსავლო გადასახადი** (განაკვეთი მაქს. 20%) - საშემოსავლო გადასახადს იხდის ფიზიკური პირი, რომლიც შემოსავალს საქართველოში არსებული წყაროებდან იღებს. მაგალითად, სტანდარტული სახელფასო შემოსავალი იბეგრება - 20%-ით; ბინის გაქირავებიდან მიღებული თანხა 5%; ზოგიერთი განაცემი, მაგალითად, სახელმწიფო პენსია ან სტიპენდია საერთოდ გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან;

- **მოგების გადასახადი** (განაკვეთი მაქს. 15%) - მოგების გადასახადს იხდის საწარმო და ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა;

- **დამატებული ღირებულების გადასახადი** (დღგ) (განაკვეთი 18%) - არაპირდაპირი გადასახადია, რომლის ღირებულება თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასში შედის, და რომელსაც საბოლოო მომხმარებელი იხდის. მაგალითად, თუ პურს ყიდულობთ, რომელიც 1,5 ლარი ღირს, ეს ფასი დღგ-ს უკვე მოიცავს. დღგ-ს ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება საქონლის მიმწოდებელს ეკისრება;

- **აქციზი** - არაპირდაპირი გადასახადია, რომლის გადახდაც სავალდებულოა გარკვეული სახეობის პროდუქციის გაყიდვის ან შეძენისას (მაგ. ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები და სხვა). გადასახადის განაკვეთის ოდენობა პროდუქციის სახეობაზეა დამოკიდებული;

- **იმპორტის გადასახადი** - ეკისრება პირს, რომელიც გარკვეულ პროდუქტს უცხო ქვეყნიდან საქართველოში გაყიდვის მიზნით შემოიტანს, ანუ იმპორტს განახორ-ციელებს. იმპორტის გადასახადის ოდენობა იმპორტირებული პროდუქტის ან მომსახურების რაოდენობასა და სახეობაზეა დამოკიდებული.

ადგილობრივი გადასახადია - **ქონების გადასახადი** (განაკვეთი მაქს. 1%) - ქონების გადასახადის გადამხდელია იურიდიული პირი, რომლის საკუთრებაშიც არის უძრავი ქონება (მაგ., შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და ა.შ.), ასევე, რიგ შემთხვევაში ფიზიკური პირებიც.

2.4 როგორ აისახება გადასახადები პირად ფინანსებზე?

გადასახადების შინაარსში გარკვევა დაგეხმარებათ გააცნობიეროთ, რომ თქვენ გადასახადებს არა მხოლოდ პირდაპირი სახით (მაგალითად, ხელფასიდან დაკავებული გადასახადის საშუალებით), არამედ არაპირდაპირაც (მაგალითად, ამა თუ იმ პროდუქციისა თუ მომსახურების შეძენით) იხდით და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში შეგაქვთ თქვენი წვლილი.

ამასთანავე, თითოეული გადასახადი - არ აქვს მნიშვნელობა ამ გადასახადს უშუალოდ თქვენ იხდით, თუ ის საწარმოები, რომელთა წარმოებულ პროდუქტსა და მომსახურებასაც ყიდულობთ - თქვენი დამატებითი ხარჯია. მაგალითად, თუ საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქციას ყიდულობთ, ვთქვათ, საპონს, მის ფასში იმპორტის გადასახადი იქნება გათვალისწინებული. გამოდის, რომ თქვენ საპნის შეძენით, არაპირდაპირ, იმპორტის

გადასახადსაც იხდით.
აქვე აღვნიშნავთ, რომ გადასახადები თქვენი პირადი ბიუჯეტის ისეთი ტიპის ხარჯია, რომელიც სხვა მომხმარებლების ანალოგიურ ხარჯებთან ერთად საერთო-საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას ემსახურება.

სამუშაო ფურცელი 2.1 ბარათების დაწყვილება (მეხსიერების თამაში)

მოსწავლეები სახალისო თამაშით არკვევენ, თუ რომელ საქონელსა და მომსახურებას გვაწვდის ბიზნესი, და რომელს - სახელმწიფო.

1) კლასი რამდენიმე ჯგუფად დაყავით. თითოეულ ჯგუფს „საქონლისა და მომსახურების ბარათებისა“ და „სახელმწიფოსა და ბიზნესის“ ბარათების თითო წყება დაურიგეთ.

2) ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეთამაშებიან: ბარათებს მაგიდაზე წარწერებით/ გამოსახულებით ქვემოთ შლიან. ბარათები იმის მიხედვით უნდა დააწყვილონ, თუ რომელ საქონელს ან მომსახურებას გვთავაზობს ბიზნესი, და რომელს სახელმწიფო. თითო საქონლისა და მომსახურების ბარათს 1 სახელმწიფოს, ან 1 ბიზნესის ბარათი შეესაბამება.

3) ჯგუფის თითოეული მონაწილე რიგრიგობით 2 ბარათს იღებს. თუ ეს ბარათები ერთმანეთს შეესაბამება, იტოვებს, თუ არა - უკან აბრუნებს. ბარათების ადვილად დასაწყვილებლად მონაწილეებმა მათი მდებარეობა უნდა დაიმახსოვრონ. გაშლილი ბარათების ამოწურვის შემდეგ, მონაწილეები შეგროვილ ბარათებს თვლიან. ჯგუფიდან ის მონაწილე გაიმარჯვებს, ვინც ყველაზე მეტ ბარათს დააწყვილებს.

4) დაწყვილება ხდება შემდეგნაირად: ერთი საქონლისა და მომსახურების ბარათი სახელმწიფოს, ან ბიზნესის ბარათს შეესაბამება. მაგალითად, საჯარო სკოლები - სახელმწიფოს, კაფე - ბიზნესს და ა.შ.

საქონლისა და მომსახურების ბარათები

კაფე	მაისური	გზები

უსაფრთხოება 	**თავდაცვა** 	**მანქანა**
საჯარო ბიბლიოთეკა 	**საღეჭი რეზინი** 	**პარკი**
კურიერის მომსახურება 	**საჯარო სკოლა** 	**ვეტერინარის მომსახურება**

სახელმწიფოსა და ბიზნესის ბარათები

ბიზნესი	**ბიზნესი**	**სახელმწიფო**
სახელმწიფო	**სახელმწიფო**	**ბიზნესი**
სახელმწიფო	**ბიზნესი**	**სახელმწიფო**
ბიზნესი	**სახელმწიფო**	**ბიზნესი**

სამუშაო ფურცელი 2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

მოსწავლეები ბიუჯეტის პრიორიტეტების საკუთარ ვერსიას ადგენენ

ა) ბიუჯეტის პრიორიტეტების საკუთარ ვერსიაზე მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ. ბიუჯეტის დაგეგმვისას მათი პრიორიტეტული მიმართულებები უნდა განსაზღვრონ, ანუ, რაში და რა რაოდენობით უნდა იხარჯებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფული. ჯგუფებს თითეულ პრიორიტეტთან დაკავშირებით კრიტერიუმების ცხრილის წარდგენა და თავიანთი არჩევანის დასაბუთება მოეთხოვებათ.
ბ) ჯგუფები ბიუჯეტის პრიორიტეტების საკუთარ ვერსიას ადარებენ საქართველოს

ბიუჯეტის პრიორიტეტებს და ასევე, სხვა, რომელიმე განვითარებული ქვეყნის (თავად ირჩევენ) ბიუჯეტის პრიორიტეტებს. შედეგად, პრეზენტაციას კლასს წარუდგენენ.

პრიორიტეტები	კრიტერიუმები			

სამუშაო ფურცელი 2.3 გადასახადების გამოთვლა

მოსწავლეები მოცემული სიტუაციის საფუძველზე ითვლიან გადასახადებს.

ოჯახი აქირავებს თავის მფლობელობაში არსებულ ბინას, საიდანაც ქირიდან ყოველთვიური შემოსავალი 1500 ლარია. ოჯახის ერთ-ერთი წევრი დასაქმებულია და მისი დარიცხული ხელფასი ყოველთვიურად 1900 ლარს შეადგენს. ოჯახმა ასევე შეიძინა იმპორტირებული საქონელი - ავეჯი 1300 ლარად. მოცემულ პირობებში რა გადასახადებს გადაიხდის ოჯახი? რამდენი იქნება ოჯახის ხელზე ასაღები ყოველთვიური შემოსავალი?

პასუხები:

- საშემოსავლო გადასახადი (ხელფასიდან): 1900 x 20% = 380 ₾ (ერთი თვის მონაცემი)
- საშემოსავლო გადასახადი (ქირაზე): 1500 x 5% = 75 ₾ (ერთი თვის მონაცემი)
- ხელზე ასაღები შემოსავალი: 1900-380+1500 = 3020 ₾ (ერთი თვის მონაცემი)
- ავეჯის შეძენისას არაპირდაპირ გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი: 1300*18/1,18=198,3₾

საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან ყოველთვიურად გადაიხდიან. საშემოსავლო გადასახადი ქირიდან კი, წელიწადში ერთხელ გადაიხდება.

სამუშაო ფურცელი 2.4 გადასახადის სახეები

მოსწავლეები ქვემოთ მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე მსჯელობენ, რომელი გადასახადი შეესაბამება აღნიშნულ სცენარს და რომელ ჯგუფს მიეკუთვნება, საერთო სახელმწიფოებრივს თუ ადგილობრივს?

1. ფიზიკურმა პირმა, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად არის რეგისტრირებული, მიიღო შემოსავალი მის მიერ ჩატარებული კონცერტიდან - გაყიდა კონცერტის ბილეთები. რომელი გადასახადებით უნდა დაიბეგროს ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი?

პასუხი: ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

2. რომელ გადასახადს გადაიხდიან ფანები, რომლებმაც ამ კონცერტზე ბილეთები შეიძინეს?

პასუხი: ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

3. რომელ გადასახადებს გადაიხდის კომპანია ამ კონცერტის ორგანიზებისთვის?

პასუხი: ---------- ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

4. თქვენმა ბებიამ იყიდა მიწა. ის ვალდებულია გადაიხადოს:

პასუხი: ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

5. გადასახადი სიგარეტზე მისგან მწეველების და პასიური მწეველების შელახული ჯანმრთელობის აღსადგენად გამოიყენება. ეს არის:

პასუხი: ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

6. მაღაზიაში რამდენიმე ქილა გამაგრილებელი სასმელი შეიძინეთ. რომელ გადასახადს მოიცავს თქვენ მიერ გადახდილი თანხა?

პასუხი: ----------

გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

პასუხები:

1. ფიზიკურმა პირმა, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად არის რეგისტრირებული, მიიღო შემოსავალი მის მიერ ჩატარებული კონცერტიდან - გაყიდა კონცერტის ბილეთები. რომელი გადასახადებით უნდა დაიბეგროს ბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი?
პასუხი: - საშემოსავლო გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.
2. რომელ გადასახადს გადაიხდიან ფანები, რომლებმაც ამ კონცერტზე ბილეთები შეიძინეს?
პასუხი: დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.
3. რომელ გადასახადს გადაიხდის ამ კონცერტის ორგანიზებისთვის კომპანია?
პასუხი: - მოგების გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.
4. თქვენმა ბებიამ იყიდა მიწა. ის ვალდებულია გადაიხადოს:
პასუხი: ქონების გადასახადი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.
5. გადასახადი სიგარეტზე გამოიყენება მისგან მწეველების და პასიური მწეველების შელახული ჯანმრთელობის აღსადგენად. ეს არის:
პასუხი: აქციზი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.
6. მაღაზიაში რამდენიმე ქილა გამაგრილებელი სასმელი შეიძინეთ. რომელ გადასახადს მოიცავს თქვენ მიერ გადახდილი თანხა?
პასუხი: - დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახადის სახე: საერთო-სახელმწიფო გადასახადი / ადგილობრივი გადასახადი.

სამუშაო ფურცელი 2.5 ტესტი

შეეცადეთ, სრულად უპასუხოთ დავალებებს.

1. თქვენი სიტყვებით განმარტეთ, რა არის გადასახადი?

---

2. ახსენით, რატომ ვიხდით გადასახადებს?

---

3. ჩამოთვალეთ გადასახადის სახეები.

---

4. რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი?

სწორია თუ არასწორი?

1. საქართველოში არსებობს საერთო-სახელმწიფო, ადგილობრივი და ფედერალური გადასახადები; სწორია / არასწორია

2. საშემოსავლო გადასახადს იხდის ის, ვინც იღებს შემოსავალს ხელფასის ან ქირის სახით; სწორია / არასწორია

3. მოსახლეობის მიერ გადახდილი ქონების გადასახადი თავს იყრის ადგილობრივ ბიუჯეტში. სწორია / არასწორია

სასარგებლო/გამოყენებული რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა - სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები
- ფინანსური განათლების პორტალი - www.finedu.gov.ge
https://finedu.gov.ge/ge/me-da-gadasakhadebi-1
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მოქალაქის გზამკვლევი:
https://www.mof.ge/mokalakis_gzamkvlevi
- ვიდეორგოლები გადასახადის შესახებ:
https://www.facebook.com/orjerorimartivad/videos/449465959062830
https://www.facebook.com/106568344023797/videos/276110070127963
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=204

საკითხი 3: საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები

ქვესაკითხები:

- რა არის საფინანსო ორგანიზაცია?
- ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები;
- საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკაში;
- ფინანსური პროდუქტები და მომსახურება;
- როგორ შევარჩიოთ სათანადო ბანკი?

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებს ესმით, თუ რა არის საფინანსო ორგანიზაცია;
- მოსწავლეებს შეუძლიათ დაასახელონ ბანკის ფუნქციები და ძირითადი საბანკო პროდუქტები;
- მოსწავლეებს ესმით საქართველოს ეროვნული ბანკის როლი;
- მოსწავლეებს ესმით საფინანსო ორგანიზაციებისა და მომსახურებების მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ განმარტონ ბანკების როლი ეკონომიკურ ციკლში;
- მოსწავლეებს შეუძლიათ განმარტონ, თუ რა კრიტერიუმებია მნიშვნელოვანი ბანკის შერჩევისას;
- მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთს შეადარონ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზებები;
- მოსწავლეები აცნობიერებენ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს.

მნიშვნელოვანი ცნებები:

საფინანსო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ეკონომიკური ციკლი, საბანკო ანგარიში, საბანკო ბარათი, დეპოზიტი, სესხი.

თემატური საკვანძო შეკითხვები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ საფინანსო ორგანიზაციებთან?
• რატომ არსებობს ეროვნული ბანკი?
• როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?
• რატომ უნდა მოვეპყროთ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულებისთვის თავის არიდებას?
თემატური მკვიდრი წარმოდგენები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• სესხის აღებამდე რეალისტურად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები, ყურადღებით გავეცნოთ ხელშეკრულებას და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება.

3.1 რა არის საფინანსო ორგანიზაცია?

VII კლასიდან იცით, რომ ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ იღებენ ადამიანები და კომპანიები გადაწყვეტილებებს შეზღუდული რესურსების პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა თქვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია და ეკონომიკურ ურთიერთობებში თქვენი ქმედებებით ხართ ჩართულნი, მაგალითად, კომპანიებისგან საქონელს ან მომსახურების შეძენისას. საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაც გიწევთ, როდესაც საბანკო ბარათით იხდით საქონლისა თუ მომსახურების საფასურს, იხდით კომუნალურ ხარჯებს, სწავლის საფასურს. ასევე, როცა მეგობარს თანხას ურიცხავთ, ბანკში სესხს იღებთ ან თანხას ინახავთ. ყველა ამ შემთხვევაში საფინანსო ორგანიზაციების მომსახურებას იყენებთ.

საფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით კომპანიებიც სარგებლობენ. მათაც სჭირდებათ თანხის, ანუ საკუთარი კაპიტალის შენახვა, სესხის აღება, მომხმარებლებისგან საქონლისა და მომსახურების საფასურის მიღება, მომწოდებლებთან თანხის გადარიცხვა, იჯარის გადახდა და ა.შ. მაშასადამე, საფინანსო ორგანიზაციებიც ეკონომიკური პროცესების მონაწილეები არიან, რადგან კომპანიებსა და შინამეურნეობებს შორის ფულის მოძრაობა სწორედ მათი მეშვეობით ხდება. (გაიხსენეთ შინამეურნეობის განმარტება VII კლასიდან: ეკონომიკური ერთეული, რომელიც სულ მცირე, 1 წევრისგან შედგება. მაგალითად, ოჯახი, როგორც წესი, განიხილება, როგორც ერთი შინამეურნეობა).

საფინანსო ორგანიზაციებს მიეკუთვნება კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სესხის გამცემი სუბიექტი), რომლებიც მომხმარებლებს - კომპანიებსა და შინამეურნეობებს, მათ შორის თქვენც, სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობენ. აქედან ყველაზე მრავალფეროვანი მომსახურება კომერციულ ბანკებს აქვთ. მოდი, განვიხილოთ, რა არის და რას აკეთებს კომერციული ბანკი.

ჩვეულებრივ, როდესაც ბანკებზე საუბრობენ, ხშირად სწორედ კომერციული ბანკი იგულისხმება. კომერციული ბანკის მთავარი ფუნქცია მოსახლეობის ერთი ნაწილისგან თანხის დანაზოგების, ანუ დეპოზიტების სახით მიღება და შემდეგ ამ თანხების მოსახლეობის მეორე ნაწილისთვის სესხის სახით გაცემაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკი დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის ფინანსურ შუამავალს წარმოადგენს.

VII კლასში ისწავლეთ, რომ თქვენ მიერ დაზოგილი თანხა, შესაძლოა, საბანკო ანაბარზე, ანუ დეპოზიტზე განათავსოთ და ამისთვის ბანკი საპროცენტო სარგებელს გადაგიხდით. ბანკი იმ შინამეურნეობებისაგან და კომპანიებისგან იღებს თანხებს, რომლებსაც თანხის დაზოგვა სურთ. სანაცვლოდ კი, მათ საპროცენტო სარგებელს უხდის. ეს არის ბანკის სადეპოზიტო საქმიანობა. გარდა დამზოგველებისა, არსებობენ შინამეურნეობები და კომპანიები, რომლებსაც, პირიქით, სხვადასხვა მიზნისთვის ფულადი სახსრების სესხება სჭირდებათ. ბანკი დამზოგველებისგან მოზიდულ სახსრებს სესხად ანუ, კრედიტად სწორედ მათზე გასცემს. სანაცვლოდ ბანკი მსესხებლებისგან საპროცენტო სარგებელს იღებს. ეს არის ბანკის საკრედიტო საქმიანობა (იხ. სურათი N3). ბანკის მოგების მნიშვნელოვან ნაწილს მის მიერ მიღებულ და გაცემულ სახსრებს შორის სხვაობა წარმოადგენს. მოზიდული თანხები ბანკმა შესაძლოა სესხის გაცემის გარდა, სხვა მომგებიან საქმიანობაშიც, მაგ., ფასიან ქაღალდებში, დააბანდოს. დამზოგველებისა და მსესხებლების ერთმანეთთან დაკავშირების გარდა, ბანკების საქმიანობში შედის:

- თანხის გადარიცხვა ანგარიშებს შორის;
- ნაღდი ფულის მიღება და გაცემა სალაროებისა და ბანკომატების მეშვეობით;
- ფულადი გზავნილების განხორციელება;
- ინტერნეტით განხორციელებული გადახდების დამუშავება;

- ფულის სხვა ვალუტაში გადაცვლა/კონვერტაცია;
- კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა;
- საკრედიტო და სადებეტო ბარათების გაცემა;
- და სხვა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების საქმიანობა ბანკების საქმიანობასთან შედარებით შეზღუდულია. მაგალითად, მათ არ შეუძლიათ დეპოზიტების მიღება და მხოლოდ მცირე მოცულობით სესხებს გასცემენ. ასევე, შესაძლოა, მომხმარებელს შესთავაზონ ფულადი გადარიცხვებისა და ვალუტის გადაცვლის მომსახურებაც.



სურათი 3

3.2 ეროვნული ბანკი და მისი ფუნქციები

ბანკად ან სხვა საფინანსო ორგანიზაციად ჩამოყალიბებისთვის (დარეგისტრირებისთვის) ორგანიზაცია გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს და სპეციალური ზედამხედველობის რეჟიმს ექვემდებარებოდეს. ეს მოთხოვნები მის გამართულ და უსაფრთხო საქმიანობას და მომხმარებელთა და ინვესტორთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას განაპირობებს. კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების ანუ, საფინანსო სექტორის ზედამხედველი საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) გახლავთ. როგორც ხვდებით, ეროვნული ბანკი ჩვეულებრივი ბანკი არ არის, ის ქვეყნის ცენტრალური ბანკია. მისი მანდატი და ფუქციები განსაზღვრულია ქვეყნის ყველაზე მთავარი კანონით - საქართველოს კონსტიტუციით. კომერციული ბანკისგან განსხვავებით, ეროვნულ ბანკში არ შეგიძლიათ ანგარიშის გახსნა, დეპოზიტის შენახვა ან სესხის აღება. მაშინ, რა ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკი?

ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა

ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ეროვნული ბანკი ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდის, ანუ ინფლაციის, ზომიერებას უზრუნველყოფს. ამის მისაღწევად ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას წარმართავს. ამ გზით ინფლაცია წინასწარ განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ნარჩუნდება. ეს ფასები ყველაზე ხშირად მოხმარებადი პროდუქტებისა და მომსახურების ღირებულებებს მოიცავს. მათ შორის, იმ პროდუქტების ფასებსაც, რომლებსაც ბაზარში ან სუპერმარკეტში ყიდულობთ.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა

ეროვნული ბანკის კიდევ ერთი მიზანი ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამ მხრივ, ეროვნული ბანკის გატარებული პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ თქვენ შეძლოთ საფინანსო სექტორის მომსახურების მიღება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.
როგორც ზემოთ განვმარტეთ, ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს ზედამხედველია და ამით საფინანსო სისტემის სტაბილურობასა და გამჭვირვალობას, მის გამართულ და უსაფრთხო მუშაობას უზრუნველყოფს. ეს კი, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის წინაპირობაა. ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორს, მათ შორის კომერციულ ბანკებს, გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს უწესებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს ამ ორგანიზაციების მიმართ სხვადასხვა სანქციის: გაფრთხილება, დაჯარიმება, ლიცენზიის გაუქმება და ა.შ. გამოყენება შეუძლია.

ფულის ემისია (გამოშვება)

საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც ქართული ლარის ბანკნოტების (ქაღალდის ფულის) და მონეტების და ასევე, საკოლექციო მონეტების და საკოლექციო ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ეროვნული ბანკი ჩვენს ანუ, საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებებს იცავს და ამ მიზნით, საფინანსო ორგანიზაციებს გარკვეულ წესებს უსაზღვრავს. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკი მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზე მუშაობს. ფინანსური განათლება ადამიანს ინფორმირებულ და პასუხისმგებლიან მომხმარებლად ჩამოყალიბებაში ეხმარება, რათა კარგად შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა და გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება.

ეროვნული ბანკის სხვა ფუნქციები

ეროვნული ბანკი არეგულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს და იცავს ინვესტორთა ინტერესებს. ეროვნული ბანკი საგადახდო სისტემების უსაფრთხო და ეფექტიან ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

ეროვნული ბანკი საქართველოს მთვარობის ბანკირია.

ეროვნული ბანკი ფლობს და მართავს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებს.

აღსანიშნავია, რომ პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს, 1919 წელს შეიქმნა და საბჭოთა ოკუპაციამდე ფუნქციონირებდა, ხოლო დღევანდელი სახით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკი 1991 წლიდან მოქმედებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდია: www.nbg.gov.ge

3.3 საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკაში

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, საფინანსო ორგანიზაციები ეკონომიკური პროცესების მონაწილეები არიან. ახლა, როდესაც მათ ფუნქციებს გაეცანით, ვეცდებით, ეკონომიკურ ციკლში საფინანსო ორგანიზაციების როლი მარტივი მოდელის საშუალებით წარმოგიდგინოთ. ჯერ წარმოვიდგინოთ, რომ ფული და საქონელი მხოლოდ ორ სექტორს - შინამეურნეობებსა და კომპანიებს შორის მოძრაობს:

კომპანიები:

- ქმნიან საქონელსა და მომსახურებას და ყიდიან მას შინამეურნეობებზე საბაზრო

ფასად ;

- შინამეურნეობებს უნაზღაურებენ შრომას (მაგალითად, ხელფასებს უხდიან დასაქმებულებს) ან უხდიან მათ იჯარასა და დივიდენდებს (მაგალითად, უხდიან ნაქირავები ფართის იჯარას, ან სარგებელს დაბანდებულ კაპიტალზე).

შინამეურნეობები:

- კომპანიებისგან ყიდულობენ საქონელსა და მომსახურებას და იხდიან საბაზრო ფასს;
- საკუთარ შრომას აწვდიან კომპანიებს და ამაში იღებენ შესაბამის ანაზღაურებას, ან იღებენ შემოსავალს, იჯარის ან დივიდენდის სახით.

ეს ურთიერთობა რესურსთა წრებრუნვის გამარტივებული მოდელით შეიძლება გამოვ-ხატოთ (იხ. სურათი N4):



სურათი 4

თუ ამ მოდელში ბანკებსა და საფინანსო ორგანიზაციებს შემოვიტანთ, დარწმუნდებით, რომ ისინი მნიშვნელოვანი დამატებითი მოთამაშეები არიან. გაიხსენეთ ადრე მოყვანილი სურათი, რომელზეც კომერციული ბანკების ფუნქციები იყო გამოსახული. ახლა ეს ფუნქციები ჩვენს რესურსთა წრებრუნვის მოდელში გადმოვიტანოთ (იხ. სურათი N5):

კომერციული ბანკები:

- შინამეურნეობებისა და კომპანიებისგან დეპოზიტებს იღებენ და ამისთვის საპრო-ცენტო სარგებელს გასცემენ;
- ამავდროულად, შინამეურნეობებსა და კომპანიებს სესხებს (კრედიტებს) აძლევენ და ამაში საპროცენტო სარგებელს იღებენ.

ისინი ამ გზით რესურსების მოძრაობის უწყვეტობას უზრუნველყოფენ.

ბანკები კომპანიებისა და შინამეურნეობებისგან მიღებულ ფულად სახსრებს სხვადასხვა მომგებიან საქმიანობაში აბანდებენ, მაგალითად, ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს, ასევე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გასცემენ სესხებს.

კომერციული ბანკებისგან და საფინანსო ორგანიზაციებისგან აღებულ სესხს შინამეურნეობები სხვადასხვა სამომხმარებლო მიზნით: რემონტისთვის, უძრავი ქონების შესაძენად, სწავლის საფასურის გადასახდელად, საკუთარი ბიზნესის დასაწყებად ან გასაფართოვებლად და ა.შ. იყენებენ. თავის მხრივ, კომპანიებს აღებული სესხის გამოყენება მრავალფეროვანი დანიშნულებით შეუძლიათ: ახალი საწარმოს ასაშენებლად, არსებულის გასავითარებლად, აღჭურვილობის შესაძენად, კვლევების გასახორციელებლად და სხვა.



სურათი 5

3.4 ფინანსური პროდუქტები და მომსახურება

ბანკებთან ურთიერთობა როგორც ახლა, ისე მომავალშიც მოგიწევთ, ამიტომ, რამდენიმე ძირითად საბანკო პროდუქტს და მათ ძირითად პირობებს გაგაცნობთ. ფინანსური პროდუქტის შეძენისას საჭიროა, კარგად გესმოდეთ მისი არსი, იცოდეთ რაზე გაამახვილოთ ყურადღება თქვენს საჭიროებებზე მორგებული პროდუქტის შესარჩევად და, ასევე, მზად იყოთ მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ასაღებად, რომ არ დაზარალდეთ და, პირიქით, მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ.

საბანკო ანგარიში

ყველაზე ხშირად გამოყენებული საბანკო პროდუქტები, რომლებიც მოსწავლეებსაც შეიძლება ჰქონდეთ (მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხმობის საფუძველზე) საბანკო ანგარიში და საბანკო ბარათია. საბანკო ანგარიში, იგივე მიმდინარე ანგარიში, სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად გამოიყენება. ის შეიძლება რამდენიმე ვალუტაში, მაგალითად, ლარში, დოლარსა და ევროში იყოს გახსნილი. მიმდინარე ანგარიშზე თანხის

შეტანა, გამოტანა, ან სხვა ანგარიშზე გადარიცხვაა შესაძლებელი. ასევე, მიმდინარე ანგარიშიდან ხდება სხვადასხვა მომსახურებების, მაგალითად კომუნალური ხარჯების გადახდა, თანხის კონვერტაცია, ანუ ერთი ვალუტის მეორეში გადაცვლა. ანგარიშებზე ოპერაციები როგორც ბანკის ფილიალში მისვლით, ასევე, დისტანციურად - ინტერნეტბანკით, ან მობილბანკით, კომპიუტერის ან სმარტფონის (მობილური ტელეფონის) გამოყენებით შეგიძლიათ განახორციელოთ.

როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშზე საპროცენტო სარგებლი არ ირიცხება, ამიტომ, თუ თანხის შენახვა გსურთ, უმჯობესია ის მიმდინარე ანგარიშიდან დეპოზიტზე გადაიტანოთ. მიმდინარე ანგარიში, როგორც წესი, ფასიანია. მაგალითად, ბანკს შეიძლება, ანგარიშის გახსნის ან ყოველთვიური მომსახურების საკომისიო ჰქონდეს დაწესებული. ზოგ შემთხვევაში კი, მაგალითად, ბავშვებისთვის, ან სახელფასო პროექტში მონაწილე თანამშრომლებისთვის და ა.შ., შეიძლება, უფასოც იყოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა საბანკო პროდუქტს გარკვეული საფასური აქვს, ამიტომ სანამ რომელიმე პროდუქტს შეიძენდეთ, გაარკვიეთ, საკომისიო რამდენს შეადგენს.

საბანკო ბარათი

თუ საბანკო ანგარიშზე საგადახდო ბარათია მიბმული, მას საბარათე ანგარიში ეწოდება. ანგარიშზე ბარათის მიბმა ნიშნავს, რომ ამ ანგარიშზე არსებულ თანხას ბარათის მეშვეობით განკარგავთ. ბანკომატიდან თანხის განაღდება, პოსტერმინალის საშუალებით მაღაზიებსა თუ კაფეებში პროდუქტისა და მომსახურების შეძენა, ნივთის ან მომსახურების ინტერნეტით შესყიდვისას საფასურის გადახდა და ა.შ. ბარათის გამოყენებით შეგიძლიათ.

ალბათ, გსმენიათ ტერმინები - სადებეტო ბარათი და საკრედიტო ბარათი. ორივე ბარათს ერთნაირი ფუნქციები აქვს, სხვაობა ის არის, რომ სადებეტო ბარათზე თქვენი ფულია დარიცხული, საკრედიტო ბარათზე კი - ბანკის. ანუ, ბანკი საკრედიტო ბარათზე თანხას სესხის სახით გაძლევთ, რაც ნიშნავს, რომ ეს თანხა შემდეგ უკან უნდა დააბრუნოთ და დამატებით, პროცენტიც გადაიხადოთ.

საბანკო ბარათების გამოყენებისას თაღლითობის მსხვერპლი რომ არ გახდეთ და თქვენს ბარათზე არსებული თანხა სხვამ არ მიითვისოს, უსაფრთხოების წესების დაცვა გმართებთ. მნიშვნელოვანია, არავის გაუზიაროთ ბარათზე დატანილი 16-ნიშნა ნომერი, მოქმედების ვადა და უკანა მხარეს გამოსახული უსაფრთხოების CVV/CVC კოდი. ასევე, არავის გაუზიაროთ ბარათით ონლაინ გადახდისას სატელეფონო შეტყობინებით მიღებული ერთჯერადი კოდი ან ბარათის პინკოდი, რომელსაც ბანკომატიდან თანხის განაღდებისთვის იყენებთ.

საბანკო დეპოზიტი

დეპოზიტების შესახებ უკვე იცით: ეს არის თანხა, რომელსაც ბანკში გარკვეული პერიოდით ინახავთ და რომელზეც, როგორც წესი, ბანკი საპროცენტო სარგებელს გიხდით. იმის მიხედვით, დეპოზიტს კონკრეტული ვადით ხსნით (მაგ., 1 თვით, 1 წლით და ა.შ.), თუ ვადის დაკონკრეტების გარეშე, არსებობს ვადიანი და უვადო დეპოზიტი. დეპოზიტის ტიპების, ასევე საპროცენტო განაკვეთების შესახებ მეტ ინფორმაციას VII კლასის დამხმარე მასალებში მოიძიებთ.

სადებეტო ანგარიშის გახსნისას სხვადასხვა ტიპის დეპოზიტს შემოგთავაზებენ. შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია, გაარკვიოთ: ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავ-ლობაში თანხის გატანა ან დამატება თუ შეგეძლებათ, რეგულარულად ხომ არ იქნება გარკვეული რაოდენობის თანხის დამატება საჭირო. მნიშვნელოვანია იცოდეთ, მარტივი

პროცენტი ერიცხება დეპოზიტს თუ რთული, ხომ არ მოგიწევთ დამატებითი საკომისიოს გადახდა, რა ვალუტაში ხსნით დეპოზიტს და ა.შ.

სესხი (კრედიტი)

ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებისგან განსხვავებით, სესხის გაცემა ბანკების გარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სესხის გამცემ სუბიექტებსაც შეუძლიათ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკრედიტო ბარათებსაც გასცემენ. სესხი არის თანხა, რომელსაც ვალად იღებთ. სესხის ხელშეკრულების გაფორმებით პირობას დებთ, რომ მიღებულ თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს წინასწარ შეთანხმებულ ვადებში დააბრუნებთ.

სესხება საჭიროებისას თანხის მიღების, და შემდეგ, ეტაპობრივად დაბრუნების შესაძლებლობას გაძლევთ. სესხით თქვენთვის საჭირო და სასურველი ნივთების შეძენა, განათლების დაფინანსება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ. შეგიძლიათ.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სესხება მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა. ხელშეკრულების გაფორმებამდე დაფიქრება გმართებთ, ისეთი ვალდებულება არ აიღოთ, რომელიც მომავალში მძიმე ფინანსურ ტვირთად დაგაწვებათ. ამიტომ მნიშვნელოვანია, სესხის აღებამდე:

აწონ-დაწონოთ და სათანადოდ შეაფასოთ: რის დაფინანსებას აპირებთ სესხით - საჭიროების, თუ სურვილის? სესხის აღებამდე გარკვეული დროის მანძილზე სასურველი თანხის ნაწილის დაზოგვა უფრო გონივრული გადაწყვეტილება ხომ არ იქნება?

დაფიქრდეთ: შეძლებთ, სირთულეების გარეშე გადაიხადოთ სესხი ახლაც და მომავალშიც? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თქვენი შემოსავლების და ხარჯების, ანუ პირადი ბიუჯეტის გაანალიზება მოგიწევთ. მხოლოდ ამის შემდეგ გეცოდინებათ, თუ გრჩებათ (გაქვთ) სესხის შენატანების გადასახდელად საჭირო თანხა თქვენს ბიუჯეტში.

შეადაროთ: ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება და თქვენთვის ყველაზე მისაღები შეარჩიოთ. შესაძლოა, სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას ერთი და იმავე ტიპის სესხი სხვადასხვა პირობებით ჰქონდეთ. ეს პირობებია: სესხის საპროცენტო განაკვეთი, სესხის გაცემისა და მომსახურების საკომისიოები და სესხის აღებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხარჯი. სესხის ყველა ფინანსური ხარჯი **ეფექტურ საპროცენტო განაკვეთშია** გაერთიანებული, ამიტომ, სხვადასხვა შემოთავაზების შესადარებლად ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენეთ.

წაიკითხოთ: ყურადღებით წაიკითხოთ სესხის ხელშეკრულება, დარწმუნდეთ, რომ გესმით მისი ყველა პირობა და ხელი მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროთ. შესაძლოა, სესხი რამდენიმეწლიანი ვალდებულება იყოს. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საფინანსო ორგანიზაციებს თქვენს მიმართ სხვადასხვა სახის სანქციების გამოყენება შეუძლიათ, როგორიცაა: ჯარიმა, საბანკო ანგარიშით სარგებლობის შეზღუდვა, ხელფასიდან თანხის ჩამოჭრა, უზრუნველსაყოფად ჩადებულ ქონებაზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა და ა.შ..

მიზნობრიობის მიხედვით, სესხის სხვადასხვა ტიპი არსებობს. მაგალითად, **სამომ-ხმარებლო სესხი** სხვადასხვა სამომხმარებლო მიზნისთვის გაიცემა, როგორიცაა: ტექნიკის შეძენა, სწავლის საფასურის გადახდა, საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფინანსება და სხვა. **იპოთეკური სესხი** უძრავი ქონების შესაძენად, ასაშენებლად ან გასარემონტებლად გაიცემა და მას შედარებით გრძელი ვადა აქვს.

განვადებაც სესხია, რომელსაც რაიმე საქონლის, მაგალითად ტექნიკის შესაძენად იღებთ. განვადების გაცემის პროცედურა შედარებით სწრაფია და ის ხშირად იმ სავაჭრო ან მომსახურების ობიექტში გაიცემა, სადაც ამ საქონლის შეძენა გსურთ.

სესხს აქვს **გადახდის გრაფიკი**, ანუ გეგმა, რომელშიც გაწერილია, რა დროს და რა რაოდენობით თანხა უნდა გადაიხადოთ სესხის დასაფარად. ამ თანხას სესხის შენატანი ეწოდება. ჩვეულებრივ, სესხის შენატანი, სესხად აღებული ძირითადი თანხის ნაწილთან ერთად, მასზე დამატებით გადასახდელ საპროცენტო სარგებელსაც მოიცავს.

სესხის გაცემამდე საფინანსო ორგანიზაცია სესხის მსურველის **გადახდისუნარიანობას** ამოწმებს, ადგენს, რამდენად შეძლებს მსესხებელი სესხის გადახდას თავისი შემოსავლებიდან და ხარჯებიდან გამომდინარე. ასევე, მის **საკრედიტო ისტორიას** იკვლევს - დროულად თუ იხდიდა მსესხებელი წარსულში არსებულ სესხებს, ახლაც ხომ არ აქვს სხვა სესხი დასაფარი და ა.შ.

ზოგჯერ საფინანსო ორგანიზაცია, სესხის გადაუხდელობის რისკის შესამცირებლად, სესხზე თავდების წარდგენას ითხოვს. თავდები საკუთარ თავზე იღებს სესხის დაფარვის ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი მას ვეღარ ფარავს. თავდებობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და კარგად უნდა დაფიქრდეთ, სანამ ვინმეს თავდებობას იკისრებდეთ.

3.5 როგორ შეარჩიოთ ბანკი?

ახლა, როდესაც უკვე იცით საფინანსო ორგანიზაციების ფუნქციები და ფინანსური პროდუქტები, ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, თუ რის მიხედვით უნდა შეარჩიოთ თქვენი მომსახურე ბანკი. გააჩნია, რა არის თქვენთვის პრიორიტეტული, ასევე რომელი საბანკო პროდუქტი გჭირდებათ. ხშირად, დამსაქმებელი კომპანიები თავად ირჩევენ ბანკს, რომელშიც თანამშრომლებს ხელფასი ერიცხებათ და რომლის საბანკო ბარათებითაც სარგებლობენ. თუმცა, როდესაც არჩევანი თქვენზეა, მაშინ:

რა არ უნდა გააკეთოთ: „X ბანკს ძალიან კარგი რეკლამები აქვს და მომწონს“ ან „ჩემს მეგობარს Y ბანკში აქვს ანგარიში. ამიტომ, ანგარიშს მეც ამ ბანკში გავხსნი“.

რა უნდა გააკეთოთ: განსაზღვრეთ, რისთვის გჭირდებათ ბანკი, რომელი ფინანსური პროდუქტ(ებ)ით აპირებთ სარგებლობას და მოიძიეთ, ბანკები, რომლებსაც შესაბამისი შესაძლებლობები (შეთავაზებები) აქვთ. შეადგინეთ კრიტერიუმების ფურცელი (იხ. სამუშაო ფურცელი 3.4), რის მიხედვითაც გადაწყვეტილებას მიიღებთ.

არ არსებობს „იდეალური ბანკი“, რომელიც ყველა პროდუქტს საუკეთესო პირობებით გთავაზობთ. მაგრამ, არსებობს ბანკები, რომლთაც საბანკო პროდუქტებზე შედარებით დაბალი საკომისიო აქვთ დაწესებული. ყველა საბანკო პროდუქტი ერთ ბანკში სარგებლობა მოსახერხებელია, თუმცა შესაძლოა, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენთვის მისაღები მხოლოდ ზოგიერთი პროდუქტის პირობა აღმოჩნდეს. ამიტომ, ბანკის შერჩევისას უპირატესად თქვენთვის უფრო მნიშვნელოვან პროდუქტებთან (დეპოზიტი, ანგარიში, ბარათი, სესხი და ა.შ.) დაკავშირებული პირობები მიიჩნიეთ, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი პირობები, მეორეხარისხოვნად ჩათვალეთ. ამ გზით თქვენთვის საუკეთესო შეთავაზების მქონე ბანკის პოვნას შეძლებთ.

სამუშაო ფურცელი 3.1 ბანკის ფუნქციები და მომსახურებები

ა) მოსწავლეები განიხილავენ შემთხვევას, როდესაც მათ ყოველი გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით მოუწევთ. რა გადახდის განხორციელებას ვერ შეძლებენ ნაღდი ანგარიშსწორებით?

ბ) მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით აღწერენ ბანკის ფუნქციებსა და მომსახურებებს და მათ ქვემოთ მოცემულ კატეგორიებს შეუსაბამებენ:

1. ფულადი ტრანზაქციების (ოპერაციების, გადარიცხვების) განხორციელება;
2. სადეპოზიტო საქმიანობა;
3. საკრედიტო საქმიანობა;
4. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;
5. უცხოური ვალუტით ვაჭრობა;
6. საკონსულტაციო საქმიანობა.

გ) მოსწავლეები ქვემოთ მოცემულ ფრაზებს ერთმანეთს ისე შეუსაბამებენ, რომ შედგენილი წინადადებები ბანკის რვა მნიშვნელოვან მომსახურებას[3] გამოხატავდეს:

ა)	ბანკები იღებენ...		... აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებს.
ბ)	ბანკები აძლევენ რჩევებს...		... მშენებლებს სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების შესახებ.
გ)	ბანკები უშვებენ...		... საზღვარგარეთ ფულადი გადარიცხვების განხორციელებაში.
დ)	ბანკები გასცემენ...		... მომხმარებლებს უცხოური ვალუტის შეძენასა და გაყიდვაში.
ე)	ბანკები ეხმარებიან...		... ადგილობრივი და უცხოური ფასიანი ქაღალდების ყიდვასა და გაყიდვას.
ვ)	ბანკები ყიდულობენ და ყიდიან...		... დიდ და მცირე სესხებს.
ზ)	ბანკები ახორციელებენ...		... მომხმარებლების დეპოზიტებს
თ)	ბანკები დახმარებას უწევენ...		... ფასიან ქაღალდებს (აქციებსა და სხვ.)

პასუხები:

ა) სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: ვებგვერდიდან ნივთის ონლაინ ყიდვა, აქციების შეძენა, ბიუჯეტის გადასახადების გადახდა და სხვა.

ბ) სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს:

1. თანხის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადარიცხვა, ნაღდი ფულის მიღება, სალაროდან და ბანკომატებიდან თანხის განაღდება, ინტერნეტით განხორციელებული გადახდების დამუშავება.
2. დეპოზიტების მიღება;
3. სესხის გაცემა, საკრედიტო ბარათების გაცემა;
4. აქციების ყიდვა, აქციების გამოშვება და გაყიდვა;
5. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
6. მომხმარებლების დახმარება სხვადასხვა ფინანსურ საკითხში.

3 წყარო: Dorsch/Klippert/Münther, Wirtschaftslehre für dich (Economics for you) Part 2, Student book, 13th Edition 2020

გ)

ა)	ბანკები იღებენ...	გ)	... აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებს.
ბ)	ბანკები აძლევენ რჩევებს...	ბ)	... მშენებლებს სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების შესახებ.
გ)	ბანკები უშვებენ...	ე	... საზღვარგარეთ ფულადი გადარიცხვების განხორციელებაში.
დ)	ბანკები გასცემენ...	თ)	... მომხმარებლებს უცხოური ვალუტის შეძენასა და გაყიდვაში.
ე)	ბანკები ეხმარებიან...	ზ)	... ადგილობრივი და უცხოური ფასიანი ქაღალდების ყიდვასა და გაყიდვას.
ვ)	ბანკები ყიდულობენ და ყიდიან...	დ)	... დიდ და მცირე სესხებს.
ზ)	ბანკები ახორციელებენ...	ა)	... მომხმარებლების დეპოზიტებს
თ)	ბანკები დახმარებას უწევენ...	ვ)	... ფასიან ქაღალდებს (აქციებსა და სხვ.)

სამუშაო ფურცელი 3.2 ეროვნული ბანკის როლი

მოსწავლეები ყურადღებით კითხულობენ ამონარიდ ტექსტებს საქართველოს კონსტიტუციიდან და საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და ყველა საკითხს, რომელიც სებ-ის ფუნქციებს ეხება მონიშნავენ. შემდეგ, სებ-ის ფუნქციებს საკუთარი სიტყვებით გადმოსცემენ.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 68. ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

2. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. კონსტიტუციის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (ამონარიდი)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.

2. (ამოღებულია).

3. ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

4. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

მუხლი 3. ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები

1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

3. ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;

გ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;

დ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
ე) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;

ვ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;

ზ) განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;

თ) საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;

ი) (ამოღებულია - 29.05.2014, №2465).

ი1) განახორციელოს კომერციული ბანკის რეზოლუცია;

ი2) მონაწილეობა მიიღოს კრიზისული სიტუაციებისთვის მომზადებასა და კრიზისის მართვაში;

კ) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

მუხლი 4. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

1. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებზე. საქართველოს სახელმწიფო პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან.

პასუხები:

საქართველოს ეროვნული ბანკი:

- უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას;
- ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას;
- განკარგავს საერთაშორისო რეზერვებს;
- ზედამხედველობს საფინანსო სექტორს;
- იცავს საფინანსო სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებებს;
- უშვებს ქართული ლარის მონეტებსა და ბანკნოტებს;
- არის მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
- ხელს უწყობს საგადახდო სისტემების ფუნქციონირებას;
- აწარმოებს საფინანსო სექტორის სტატისტიკას;
- და სხვ.

სამუშაო ფურცელი 3.3 საქონლისა და ფულის მოძრაობა

ა) შეავსეთ დიაგრამა და დახაზეთ, როგორ მოძრაობს ფული ბანკებს, კომპანიებსა და შინამეურნეობებს შორის.



ბ) კარგად დააკვირდით თქვენს ნახაზს და ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნეთ, რომელი ეკონომიკური მხარეებია ჩართული თითოეულ ჩამოთვლილ მაგალითში[4]?

ა = კომპანია | ბ = შინამეურნეობა | გ = ბანკი

	ა	ბ	გ
კომპანია „სტამპა“ ბ-ნ გუდაძეს ყოველთვიურ ანაზღაურებას 5,600 ლარს უხდის. თანხა მის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ირიცხება.			
ნინოს საკუთარ დეპოზიტზე ერიცხება სარგებელი 180 ლარი.			
გიორგიმ ბებიისგან 200 ლარი მიიღო, რასაც სარგებლის მიღების მიზნით ბანკში აბანდებს.			
გუდაძის ოჯახმა 3,200 ლარის ღირებულების ორი ხალიჩა შეიძინა.			

4 Source: Dorsch/Klippert/Münther, Wirtschaftslehre für dich (Economics for you) Part 2, Student book 13th Edition 2020

გ) ჯგუფური სამუშაო

მცირე ჯგუფებში მოსწავლეები მსჯელობენ ოჯახის (მაგ.: მამა, დედა და ორი შვილი) მაგალითზე. ოჯახის ყველა წევრი საბანკო მომსახურებებით სარგებლობს. ჯგუფები საკუთარი ოჯახის ფულის მიმოქცევის ციკლს ადგენენ და მის ამსახველ დიაგრამას ხაზავენ. შემდეგ, კლასის წინაშე წარადგენენ და ერთობლივად განიხილავენ.

პასუხები:

	ა	ბ	გ
კომპანია „სტამპა“ ბ-ნ გუდაძეს ყოველთვიურ ანაზღაურებას 5,600 ლარს უხდის. თანხა მის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ირიცხება.	X	X	X
ნინოს საკუთარ დეპოზიტზე ერიცხება სარგებელი 180 ლარი.		X	X
გიორგიმ ბებიისგან 200 ლარი მიიღო, რასაც სარგებლის მიღების მიზნით ბანკში აბანდებს.		X	X
გუდაძის ოჯახმა 3,200 ლარის ღირებულების ორი ხალიჩა შეიძინა.	X	X	

სამუშაო ფურცელი 3.4 როგორ შეარჩიოთ ბანკი?

ა) ჯგუფური სამუშაო:

ჯგუფები ბანკის შერჩევის კრიტერიუმებზე მსჯელობენ. ასახელებენ სხვადასხვა კრიტერიუმს და მათი შეფასებისთვის საჭირო შეკითხვებს (მაგ., კრიტერიუმი: საპროცენტო განაკვეთი. კითხვები: რამდენია საპროცენტო განაკვეთი სამომხმარებლო სესხზე? რამდენია საპროცენტო განაკვეთი ვადიან დეპოზიტზე? და ა.შ.). შემდეგ, თითოეული ჯგუფი ბანკის შერჩევის კრიტერიუმებს და შესაბამისი შეკითხვების ფურცელს კლასს წარუდგენს. იმართება დისკუსია. შედეგად, ჯგუფები სხვადასხვა შეფასების ფურცელს აჯერებენ და ერთ საბოლოო შეფასების ფურცელს ქმნიან.

ჯგუფების მუშაობაში დასახმარებლად და დისკუსიის წასახალისებლად ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენება შეგიძლიათ:

1. პირველ რიგში, განსაზღვრეთ თქვენი საჭიროებები და ფულის მართვის ჩვევები. მაგალითად, მხოლოდ ანგარიში და ბარათი გჭირდებათ თუ სხვა პროდუქტებიც? თქვენთვის ბანკის ფილიალებში მისვლაა მნიშვნელოვანი, თუ ოპერაციების ინტერნეტბანკით განხორციელებას ამჯობინებთ? და ა.შ.;

2. შეადარეთ სხვადასხვა ბანკის პირობები და შეთავაზებები და სათანადო ბანკი მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩიეთ.

კრიტერიუმები	დამხმარე შეკითხვები
რეპუტაცია და სანდოობა	• იცნობ ვინმეს, ვისაც ამ ბანკში ანგარიში აქვს გახსნილი? • რას ფიქრობს ეს ადამიანი ამ ბანკზე? • კმაყოფილია ამ ბანკის მომსახურებით და პირობებით? • ამ ბანკთან დაკავშირებით უარყოფითი რეკლამა ან ამბავი ხომ არ სმენია? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: რომელიმე საფინანსო ორგანიზაციასთან ურთიერთობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, მის შესახებ მეტი ინფორმაცია მოიძიოთ. ამ მიზნით: ინტერნეტში მომხმარებლების შეფასებებს გაეცანით ან ამ ორგანიზაციით მოსარგებლე ნაცნობს პირადი შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვეთ.
მოსახერხებლობა და ხელმისაწვდომობა	• ბანკის ფილიალი/ბანკომატი თქვენს სკოლასთან, სახლთან ან სამსახურთან ახლოს მდებარეობს? • ფილიალის სამუშაო საათები ხელსაყრელია თქვენთვის? • დაცულად გრძნობთ თავს ქუჩაზე (უსაფრთხოდ მიგაჩნიათ ქუჩა), სადაც ბანკის ფილიალი/ბანკომატია განთავსებული? • ბანკომატის მიმდებარე ტერიტორია სათანადოდ არის განათებული? • გთავაზობთ თუ არა ბანკი დისტანციურ მომსახურებას, (ინტერნეტბანკს ან მობილბანკს), რომ ფილიალში მიუსვლელად შეასრულოთ საბანკო ოპერაციები? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: მნიშვნელოვანია, ბანკთან ურთიერთობა თქვენთვის მოსახერხებელი იყოს, რომ საბანკო მომსახურება შეუფერხებლად და დროულად მიიღოთ. მაგალითად, თუ თანხის ხშირად განაღდებაგიწევთ, მნიშვნელოვანია, ბანკომატი თქვენთან ახლოს იყოს. საჭიროა, ბანკი დისტანციური არხებით მომსახურებასაც გთავაზობდეთ, რომ საბანკო ოპერაციების ფილიალში მიუსვლელად განხორციელებაც შეძლოთ.
ეთიკა	• იცავს ბანკი ეთიკის ნორმებს? მაგალითად, ბანკის თანამშრომლები პატივისცემით ეპყრობიან ყველა მომხმარებელს, ასაკის, სქესის და წარმომავლობის მიუხედავად? • ბანკის პირობები გასაგები და გამჭვირვალეა? ხომ არ იყენებენ შეცდომაში შემყვან რეკლამებს? • ბანკი კონფიდენციალურობას და მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს სათანადოდ იცავს? • მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში პრეტენზიის გამოხატვა შესაძლებელია? სად და რა ფორმით? ბანკის მხრიდან

	წერილობითი რეაგირება რა დროში ხდება? • თავისი საქმიანობით ბანკი ზიანს ხომ არ აყენებს გარემოს და/ან საზოგადოებას? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: მომხმარებელთან ურთიერთობისას აუცილებელია, რომ ბანკი ეთიკის ნორმებს იცავდეს. ბანკის თანამშრომელი ვალდებულია, სრულყოფილი ინფორმაცია მოგაწოდოთ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით და ამომწურავი პასუხები გასცეს თქვენს შეკითხვებს. უკმაყოფილების შემთხვევაში თქვენ პრეტენზიის დაფიქსირების (განცხადების) უფლება გაქვთ, ხოლო ბანკი ვალდებულია, თქვენს წერილობით პრეტენზიას წერილობითვე უპასუხოს (,პრეტენზიის დაფიქსირებასა და მომხმარებლის სხვა უფლებებზე, დამატებით მასალას მომდევნო გაკვეთილებზე ისწავლით).
საკომისიოები, ჯარიმები და სხვა ხარჯები	• რა საკომისიოა დაწესებული ანგარიშის გახსნის, ან ბარათის შეკვეთის შემთხვევაში? • არსებობს თუ არა ყოველთვიური ან ყოველწლიური გადასახადი ანგარიშზე/ბარათზე? • რამდენია თანხის გადარიცხვის საკომისიო? ანგარიშის დახურვის საკომისიო? თანხის ბარათიდან განაღდების საკომისიო? და ა.შ. • რა ჯარიმაა გათვალისწინებული ხელშეკრულების ამა თუ იმ პუნქტის დარღვევისას? მაგალითად, თუ სესხის შენატანი დროულად არ გადაიხადეთ? • სხვა რა ხარჯი ახლავს სესხის აღებას? მაგალითად, რამდენია დაზღვევის ხარჯი? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის დარღვევისთვის ბანკმა შეიძლება, **ჯარიმა** დაგაკისროთ. მაგალითად, თუ სესხის შენატანს დროულად არ გადაიხდით, ბანკი ჯარიმას დაგაკისრებთ. თქვენი პასუხისმგებლობაა, პროდუქტის შეძენამდე დასვათ კითხვები ყველა შესაძლო ჯარიმისა და მისი ოდენობის შესახებ და თუ ის სამართლიანად დაგეკისრათ, დროულად გადაიხადოთ. ამ გზით ფინანსური პრობლემებისთვის თავის არიდებას შეძლებთ. გარდა ამისა, ზოგიერთი პროდუქტის შეძენისას, დამატებითი ხარჯებიც შეიძლება დაგეკისროთ. მაგალითად, იპოთეკური სესხის გაცემის დროს, ბანკი ხშირად მსესხებელისგან სიცოცხლის დაზღვევის შეძენას ითხოვს, რაც მომხმარებლისთვის დამატებითი ხარჯია. შესაბამისად, ნებისმიერ საბანკო პროდუქტთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიოები და ხარჯები აუცილებლად მის შეძენამდე გაარკვიეთ.

საპროცენტო განაკვეთი	• რამდენია საპროცენტო განაკვეთი შერჩეულ დეპოზიტზე/ სესხზე? • რომელი ტიპის დეპოზიტზეა შესაძლებელი ყველაზე მაღალი სარგებლის მიღება? • რა საპროცენტო განაკვეთებია შემოთავაზებული სტუდენტურ სესხებზე? • სესხის შემთხვევაში, რამდენია შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთი? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: ზოგიერთი ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ პროდუქტი, რომლითაც სარგებლობს, სესხია, და რომ საპროცენტო განაკვეთის ოდენობა აუცილებლად მის გამოყენებამდე უნდა გაარკვიოს. მაგალითად, ბანკი გარკვეული შემოსავალის მქონე ადამიანებს ხშირად ე.წ. „ოვერდრაფტს“ სთავაზობს, რაც მომხმარებელს ანგარიშზე არსებულ თანხაზე მეტის დახარჯვის საშუალებას აძლევს. რეალურად, მომხმარებლები ამ თანხას ბანკისგან სესხულობენ და შესაბამისად, მისი დაბრუნება და პროცენტის გადახდაც მოუწევთ. ამიტომ, აუცილებელია, რომ მომხმარებლებმა საპროცენტო განაკვეთი ნებისმიერი სახის სესხით სარგებლობამდე გაარკვიონ.
შეზღუდვები	რა შეზღუდვა ახლავს არჩეულ პროდუქტს? მაგალითად: • რა თანხის გატანაა შესაძლებელი ანგარიშიდან 1 დღის განმავლობაში? • შესაძლებელია დეპოზიტის თანხის გატანა ვადაზე ადრე? რა პირობებია ამ შემთხვევაში? • შემოთავაზებული ბარათით გადახდა ნებისმიერ ვებგვერდზე შემიძლია? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: ბანკები საკუთარ მომსახურებებზე რიგ **შეზღუდვებს** აწესებენ. თქვენი პასუხისმგებლობაა, დასვათ შეკითხვები, ხოლო ბანკის ვალდებულებაა, სრული, დროული და ზუსტი ინფორმაცია მოგაწოდოთ. მაგალითად, ბანკები ხშირად ზღვარს აწესებენ თანხაზე, რომლის გატანაც მომხმარებელს საკუთარი ანგარიშიდან 1 დღის განმავლობაში შეუძლია. ჰკითხეთ ბანკს, რა თანხის გატანა შეგიძლიათ ანგარიშიდან 1 დღის განმავლობაში? თუ ვადიანი დეპოზიტით სარგებლობთ, ჰკითხეთ, რა მოხდება, თუ თანხას დეპოზიტის ვადის გასვლამდე გაიტანთ? ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სარგებელს სრულად ან ნაწილობრივ დაკარგავთ. ბანკის მხრიდან გარკვეული შეზღუდვები, შესაძლებელია, რომ

ვერსია 1.0 2023

	ბარათებით ინტერნეტში ოპერირებისასაც გქონდეთ.
განსაკუთრებული პირობები და შემოთავაზებები	• შესაძლებელია შერჩეულ პროდუქტზე რაიმე განსაკუთრებული პირობების მიღება? • რომელიმე პროდუქტი უფასოდ ხომ არ არის შემოთავაზებული? • გათვალისწინებულია თუ არა ფასდაკლება, ან თანხის გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნების შესაძლებლობა ბარათით სარგებლობისას? • ერთგული მომხმარებელისათვის დეპოზიტზე უფრო მაღალი სარგებლის მიღება შემიძლია? **შენიშვნა ფასილიტატორს:** ბავშვებს დამატებით შემდეგი ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ: ბანკი თავის პროდუქტებზე ხშირად განსაკუთრებულ პირობებს გვთავაზობს, მაგალითად, უფასო სმს-ბანკი ანგარიშის გახსნისას, საჩუქრები ინტერნეტბანკის გამოყენებისას, სტუდენტური ფასდაკლება, დეპოზიტზე მაღალი სარგებელი ერთგული მომხმარებლებისთვის და ა.შ. ამიტომ, პროდუქტთან დაკავშირებით განსაკუთრებული პირობების შესახებ კითხვა მორიდების გარეშე და პირდაპირ დასვით.

ბ) ალტერნატიული ჯგუფური სამუშაო:

მოსწავლეებს ეძლევათ სიტუაცია:

> ***სიტუაცია:***
> უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადასახდელად 5000 ლარის ოდენობით სესხი გჭირდებათ. ყოველთვიური შემოსავალი იჯარის სახით გაქვთ, რომელიც 1500 ლარს შეადგენს.

თითოეულ მონაწილეს 4 სხვადასხვა ბანკის შემოთავაზების შესახებ ურიგდება ინფორ-მაცია.

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე, მოსწავლეები ინდივიდუალურად ირჩევენ ბანკს, სადაც სესხს მიიღებენ. ამის შემდეგ, ისინი ჯგუფებად იყოფიან, მსჯელობენ და 15 წუთის შემდეგ ჯგუფი საერთო გადაწყვეტილებაზე თანხმდება. შეიძლება ჯგუფის წევრების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ერთმანეთს არ დაემთხვეს, მაგრამ მათ მიზანს საკუთარი მოსაზრე-ბების დასაბუთება და შეთანხმებამდე მისვლა წარმოსდგენს.

დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს ჯგუფების გადაწყვეტი-ლებებს. ვინც შეიცვალა გადაწყვეტილება, რა კრიტერიუმებმა გამოიწვია ეს ცვლილება? როგორ დაასაბუთეს ჯგუფებმა არჩევანი?

შემოთავაზება N1: ბანკი A

ბანკი A უკვე 20 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. მის მმართველ გუნდში როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები არიან დასაქმებულნი. ბანკი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობს საერთაშორისო ბირჟაზე.

ბანკს ფილიალების ფართო ქსელი აქვს და ამასთან, მომხმარებლებს თითქმის ყველა ოპერაციას ინტერნეტბანკის მეშვეობითაც სთავაზობს.

ბანკის რეკლამაა: „თუ გსურთ მოგზაურობა, საჩუქრის გაკეთება, ნივთის შეძენა, იდეა გაქვთ, განსახორციელებლად კი, თანხა გჭირდებათ, ჩვენი სამომხმარებლო სესხით ნებისმიერი საჭიროებისთვის ისარგებლეთ.“

მიზნობრიობა	ნებისმიერი სურვილის დასაფინანსებლად
სესხის თანხა	500 – 10 000 ლარი
სესხის ვადა	6 – 36 თვე
საპროცენტო განაკვეთი	15%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	16.74%
გაცემის საკომისიო	2%, მინიმუმ 40 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო	1 ლარი
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	თავდებობა
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

შემოთავაზება N2: ბანკი B

ბანკი B უკვე 15 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. მის მმართველ გუნდში როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები არიან.

ბანკს ფილიალების ფართო ქსელი აქვს და ამასთან, მომხმარებლებს თითქმის ყველა ოპერაციას ინტერნეტბანკის მეშვეობითაც სთავაზობს.

ბანკის რეკლამაა: „მოქნილი სამომხმარებლო სესხის აღება უკვე ნებისმიერი მიზნობრიობით შეგიძლიათ. ნებისმიერ დროს, თუ თანხა გაგიჩნდათ ან სხვა უფრო უკეთეს პირობას შემოგთავაზებთ, მის გადაფარვას ჩვენთან ყოველგვარი წინსწრების საკომისიოს გარეშე ნებისმიერ დროს შეძლებთ.“

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	500 – 20 000 ლარი
სესხის ვადა	6 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	13%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	18.1%
გაცემის საკომისიო	2%, მინიმუმ 40 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო	5 ლარი
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	0%
სესხის უზრუნველყოფა	არ მოითხოვება
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

შემოთავაზება N3: ბანკი C

ბანკი C 5 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სხვადასხვა კამპანიასა და აქციას ახორციელებს. ორიენტირებულია გარემოს დაცვაზე.

ბანკს ფილიალები და ბანკომატები შეზღუდული რაოდენობით აქვს, თუმცა მომხმარებლებს ნებისმიერ ოპერაციას დისტანციურად, ინტერნეტბანკის საშუა-ებით სთავაზობს.

ბანკის რეკლამაა: „სესხის აღება ნებისმიერი მიზნით სახლიდან გაუსვლელად და სწრაფად შეგიძლიათ.“

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	200 – 5000 ლარი
სესხის ვადა	12 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	13.4%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	19.2%
გაცემის საკომისიო	2%
თანხის გატანის საკომისიო	0.2%
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	თავდებობა
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

შემოთავაზება N4: ბანკი D

ბანკი D 10 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. ბანკი მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. ის საერთაშორისო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობს.

ბანკის რეკლამაა: „თუ 18 წლის ხართ და ხელფასი გერიცხებათ, სამომხმარებლო სესხებს ნებისმიერი მიზნობრიობით, უზრუნველყოფის გარეშე გთავაზობთ“.

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	300 – 10 000 ლარი
სესხის ვადა	3 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	12.5%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	15 %
გაცემის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	არ მოითხოვება
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან

პასუხების ფურცელი მოსწავლეებისთვის:

ინდივიდუალური გადაწყვეტილების ბარათი

მოსწავლის გვარი, სახელი----------

ჩემი გადაწყვეტილება (შემოხაზეთ) :

ბანკი A	**ბანკი B**	**ბანკი C**	**ბანკი D**

ჯგუფის გადაწყვეტილების ბარათი (თითო ჯგუფზე ერთი ბარათი ივსება):

შეაფასეთ წარმოდგენილი ბანკები. ამისთვის მოიფიქრეთ შეფასების კრიტე-იუმები, ამ კრიტერიუმებით შეაფასეთ თითოეული ბანკი, გააკეთეთ არჩევანი და მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

ალტერნატივები	**შეფასების კრიტერიუმები**					
ბანკი A						
ბანკი B						
ბანკი C						
ბანკი D						
ჯგუფის გადაწყვეტილება						

სამუშაო ფურცელი 3.5 ტესტი

შეეცადეთ, სრულად უპასუხოთ დავალებებს.

1. ჩამოთვალე ბანკის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია.

---

2. ჩამოთვალე საქართველოს ეროვნული ბანკის სამი უმთავრესი ფუნქცია.

---

3. ჩამოთვალე ეკონომიკური ციკლის სამი სექტორი.

---

4. მნიშვნელოვანია თუ არა ბანკის შერჩევისას გაითვალისწინოთ, რამდენად იცავს ის ეთიკის წესებს? დაასაბუთეთ.

სასარგებლო/გამოყენებული რესურსები

- **ფინანსური განათლების ბროშურები**
  - საფინანსო სისტემა და ფინანსური შუამავლები
  - დაზოგვა და დეპოზიტები
  - სესხება და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები
- ფინანსური განათლების პორტალი: www.finedu.gov.ge
  - კატეგორია: პირადი ფინანსების მართვა
  - კატეგორია: დაზოგვა
  - კატეგორია: სესხება
- სკოლა-ბანკი: ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის

გაკვეთილი: 3, 4, 5

- საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
- ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ:

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=55

საკითხი 4: დაზღვევა

ქვესაკითხები:

- ყოველდღიურობაში არსებული რისკები.
- როგორ მუშაობს დაზღვევა?
- დაზღვევის ტიპები.
- დაზღვევის ხელშეკრულება.

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები შეისწავლიან ყოველდღიურობაში არსებულ რისკებს.
- მოსწავლეებს ესმით, რომ დაზღვევას შეუძლია მათი დახმარება ფინანსური რისკების შემცირებასა ან თავიდან არიდებაში.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ გაანალიზონ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი რისკები და შეაფასონ დაზღვევის მნიშვნელობა;
- მოსწავლეებს შეუძლიათ აღწერონ დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლებები და პასუხისმგებლობები;
- მოსწავლეები იცნობენ სადაზღვევო პოლისს და შეუძლიათ შეადარონ დაზღვევის შემოთავაზებები;
- მოსწავლეებმა იციან, როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს სადაზღვევო პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ცნებები:

დაზღვევა, რისკი, სოლიდარული საზოგადოება, პირადი დაზღვევა, ქონების დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, მზღვეველი, დაზღვეული, დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო პრემია.

თემატური საკვანძო შეკითხვები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?
თემატური მკვიდრი წარმოდგენები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში.

4.1 ყოველდღიურობაში არსებული რისკები

ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების გარდა, არსებობენ სადაზღვევო კომპანიები. ისინიც საფინანსო სისტემის წარმომადგენლები არიან და მომხმარებლებზე ფინანსურ პროდუქტს - დაზღვევას ჰყიდიან. რისთვის არსებობენ სადაზღვევო კომპანიები და რაში გვჭირდება მათი დაზღვევის ყიდვა?

სანამ ამას ავხსნიდეთ, დაფიქრდით, რა საფრთხეები არსებობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი წლის არის ადამიანი, რა სამუშაოს ასრულებს ან რა ჰობი აქვს, ნებისმიერ დროს შეიძლება, მისთვის არასასურველი შედეგების მომტან მდგომარეობაში აღმოჩნდეს. არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობას რისკი ეწოდება.

რისკი შესაძლოა ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში წარმოიშვას. მაგალითად, შესაძლოა, ფეხბურთის თამაშისას ფანჯარა ჩატეხოთ, შეიძლება ფეხი მოიტეხოთ და სამსახურში ვეღარ იაროთ, მოყვეთ ავტოავარიაში და თქვენი და მეორე პირის ავტომობილი დაზიანდეს, მობილური ტელეფონი დაკარგოთ, სამედიცინო ოპერაცია

დაგჭირდეთ, პენსიაში გახვიდეთ და ბინაზე მოვლას საჭიროებდეთ, ქარიშხალმა სახლის სახურავი დაგიზიანოთ, სეტყვამ მოსავალი გაგინადგუროთ, ხანძარმა მაღაზიის მარაგები გაგინადგუროთ და ა.შ. ჯანმრთელობასა და საქმიანობაზე ნეგატიური ზეგავლენის გარდა, რისკები, უმეტესად, ფინანსურ ზარალთან არის დაკავშირებული.

შედეგების სიმძიმის მიხედვით, რისკები შესაძლებელია სხვადასხვა კლასად დაიყოს:

- **დაბალი რისკები:** ფინანსურ შედეგებთან გამკლავება განსაკუთრებული პრობლემების გარეშეა შესაძლებელი;

- **საშუალო - დამაზიანებელი (კრიტიკული) რისკები:** მიუხედავად იმისა, რომ ამ რისკების შედეგები დაძლევადია, ზიანის დადგომის შემთხვევაში შინამეურნეობის კეთილდღეობა და ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება. ხშირად ეს ქონებრივი რისკებია.
- **მაღალი - გამანადგურებელი (კატასტროფული) რისკები:** ფინანსური ზარალი იმდენად დიდია, რომ შინამეურნეობა ვეღარ უმკლავდება მას. იგი როგორც პირად, ისე ქონებრივ რისკებს მოიცავს.

როდესაც შედეგები იმდენად მძიმეა, რომ პირს მასთან გამკლავება დამოუკიდებლად არ შეუძლია, მაგალითად, იმის გამო, რომ ზიანის გამოსწორებისთვის საკმარისი თანხის გამომუშავებას მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ შეძლებს, ის სხვების დახმარებასა და სოლიდარობაზე დამოკიდებული რჩება. სოლიდარობა ერთად დგომას და ერთმანეთის მხარდაჭერას ნიშნავს. სოლიდარული საზოგადოება განსაცდელში მყოფ ცალკეულ ადამიანს ეხმარება და მხარს უჭერს.

სოლიდარული საზოგადოება შეიძლება ოჯახი, მეგობრების ჯგუფი, ან სულაც სახელმწიფო იყოს. მაგალითად, საქართველო, სოციალური დაცვის სისტემის საშუალებით, საკუთარ მოქალაქეებს საბაზისო სერვისებს სთავაზობს: ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფო პენსია და სხვადასხვა სახის დახმარება მოწყვლადი პირებისთვის. უკვე იცით, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაშასადამე, გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში, ბიუჯეტში გადასახადის გადამხდელები ერთად სოლიდარულ საზოგადოებას ქმნიან.

4.2 როგორ მუშაობს დაზღვევა?

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული რისკები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება დაგიდგეთ, შესაძლებლობა გაქვთ, საკუთარი თავი, ოჯახი თუ ბიზნესი ამ შემთხვევებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგებისგან დაიცვათ. სწორედ დაზღვევის საშუალებით არის შესაძლებელი პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

დაზღვევა არის შეთანხმება იმის შესახებ, რომ **დაზღვეულ** პირს, დაზარალების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად საჭირო თანხას სრულად ან ნაწილობრივ სადაზღვევო კომპანია (ანუ **მზღვეველი**) აუნაზღაურებს. სანაცვლოდ დაზღვეული პირი სადაზღვევო კომპანიას პერიოდულად გარკვეულ საფასურს - **სადაზღვევო პრემიას** უხდის. შესაძლოა, ზოგიერთი ადამიანი ფიქრობდეს, რომ დაზღვევაში გადახდა, ფულის უაზრო ხარჯვაა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევა ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაუდგეს, ხოლო მიყენებული ფინანსური ზარალი, სადაზღვევო პრემიაში გადახდილ თანხას გაცილებით აღემატებოდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ

ყველაფერზე უნდა დაეზღვიოთ. დაზღვევის შეძენამდეც დაფიქრებაა საჭირო - რისი დაზღვევა გსურთ, რომელი რისკების დადგომის ალბათობა არსებობს და კონკრეტული რისკის დადგომის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიისგან ფინანსური დახმარება დაგჭირდებათ თუ არა.

სადაზღვევო კომპანიები იმ რისკებს აზღვევენ, რომლებიც ადამიანთა უმეტესობისთვის მსგავსია და, როგორც ვთქვით, სანაცვლოდ, სადაზღვევო პრემიას იღებენ. სადაზღვევო კომპანიები გათვლებს აწარმოებენ, რომ განსაზღვრონ: პრემიის რაოდენობა, ამა თუ იმ შემთხვევის რისკის კლასი, სარისკო შემთხვევის ხდომილების ალბათობა და მოსალოდნელი ზარალი. რამდენადაც, ყველა რისკი რეალურად არ დგება, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია ივარაუდოს, რომ მიღებული სადაზღვევო პრემიების საშუალებით, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას დაზღვეულთა საკმარისი რაოდენობისთვის შეძლებს.

4.3 დაზღვევის ტიპები

თითქმის ყველა სახის რისკის დაზღვევა არსებობს. სადაზღვევო პროდუქტები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ: პირადი, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევა.

1. **პირადი დაზღვევა**

პირადი დაზღვევა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და სამოგზაურო დაზღვევას მოიცავს.

- **ჯანმრთელობის დაზღვევა** - დაზღვეული პირის სამედიცინო მომსახურების, მაგალითად, ექიმთან ვიზიტების, მედიკამენტების, ლაბორატორიული კვლევების და სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს სრულად ან ნაწილობრივ ფარავს.
- **სიცოცხლის დაზღვევა** - სიცოცხლის დაზღვევის მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახს, მემკვიდრეს, ან დაზღვევისას განსაზღვრულ შესაბამის პირს დაზღვევის პირობებით წინასწარ შეთანხმებული თანხა უნაზღაურდება.
- **სამოგზაურო დაზღვევა** - ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ მოგზაურობასთან დაკავშირებული რისკებით გამოწვეულ ხარჯებს ანაზღაურებს, მაგალითად, გაუთვალისწინებელი სამედიცინო მომსახურების, ბარგის დაკარგვის, მოგზაურობის გაუქმების და სხვა ხარჯები.

2. **ქონების დაზღვევა**

ქონების დაზღვევა უძრავი ან მოძრავი ქონების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეულ ხარჯებს ფარავს. მაგალითად:

- **სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა** (ანუ აგროდაზღვევა, პირუტყვის, ფერმის დაზღვევა) - სასოფლო მეურნეობებს ისეთ რისკებზე აზღვევს, როგორიცაა სტიქიური მოვლენები (მაგ., გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ.); შინაური ცხოველის, თევზის ან ფრინველის დაავადებები და ა.შ.
- **ავტომობილის დაზღვევა** - ავტოდაზღვევა ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაგალითად, თქვენი ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ფარავს.
- **უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევა** - მაგალითად, საცხოვრებელი სახლის დაზღვევა ხანძრით, წყალდიდობით, ქურდობით გამოწვეულ ზარალს ანაზღაურებს; ტელეფონის დაზღვევა - ქურდობის, დაზიანების შემთხვევებში ასანაზღაურებელ ხარჯებს მოიცავს.

3. **პასუხისმგებლობის დაზღვევა**

პასუხისმგებლობის დაზღვევა საშუალებას გაძლევთ, თავიდან აირიდოთ ის ფინანსური ზარალი, რომელიც მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას თქვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ან თქვენი საქმიანობის შედეგად მიადგა. შესაბამისად, შესაძლებელია დააზღვიოთ:

- **პროფესიული პასუხისმგებლობა** - ამ დაზღვევისას ისეთი ზიანის ხარჯები ანაზღაურდება, რაც შესაძლებელია, რომ დაზღვეულმა სხვა პირს შემთხვევით თავისი საქმიანობით მიაყენოს. ასეთი პასუხისმგებლობის წინაშე შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი აღმოჩნდეს მაგალითად, ექიმი, ნოტარიუსი, მშენებელი და სხვა.
- **სამოქალაქო პასუხისმგებლობა** - მაგალითად, მძღოლის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე ავტოავარიის შემთხვევაში სხვა ავტომობილის ან მისი მძღოლისა და მგზავრებისთვის მიყენებული ზიანის ხარჯებს ფარავს.

4.4 დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებით სადაზღვევო კომპანია თქვენს წინაშე ვალდებულებას იღებს, რომ **სადაზღვევო შემთხვევის,** ანუ წინასწარ განსაზღვრული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზიანის ასანაზღაურებლად გარკვეული რაოდენობის თანხას გადაგიხდით. თქვენ კი, ამავე ხელშეკრულების თანახმად, მზღვეველს, **სადაზღვევო პრემიას** უხდით.

დაზღვევის ხელშეკრულება ორ ან სამ მხარეს შორის ფორმდება, ესენი არიან: **მზღვეველი**, ანუ სადაზღვევო კომპანია, რომელიც სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს, **დამზღვევი**, ანუ პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას და სადაზღვევო პრემიას იხდის და **დაზღვეული**, ანუ პირი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იღებს ანაზღაურებას; ხშირად, დამზღვევი და დაზღვეული ერთი და იგივე პირია.

ხელშეკრულებასთან ერთად **სადაზღვევო პოლისი** გადმოგეცემათ, რომელშიც დაზღვევის კონკრეტული პირობები იქნება გაწერილი, მაგალითად, რამდენს შეადგენს სადაზღვევო პრემია, რა თანხის ფარგლებში ხდება ანაზღაურება და ა.შ.

სადაზღვევო პოლისი შეიძლება ითვალისწინებდეს **ფრანშიზას**, ანუ ზიანის იმ მინიმალურ ოდენობას, რომელსაც მზღვეველი არ აგინაზღაურებთ.

დაზღვევის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, თქვენ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოთ, ნამდვილად გსურთ თუ არა ამ დაზღვევის მიღება. გაარკვიეთ:

- რისკის დადგომის რა ალბათობა არსებობს?
- დადგომის შემთხვევაში, რისკი რა ზარალს გამოიწვევს?
- რომელი სადაზღვევო კომპანიებია ხელმისაწვდომი?
- რა განსხვავებული სერვისები და სახელშეკრულებო პირობები აქვთ მათ?
- სადაზღვევო პრემიის რეგულარულად გადახდას შეძლებთ?

მაშინაც კი, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებები ერთსა და იმავე რისკს ეხება, შესაძლოა, რომ სადაზღვევო პოლისების შინაარსი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. ამიტომ, მომხმარებელმა ყველა საჭირო ინფორმაცია აუცილებლად წინასწარ, დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა მიიღოს. მან უნდა გაარკვიოს:

- რა სადაზღვევო რისკებს ფარავს და რას არ ფარავს დაზღვევა?
- რამდენია სადაზღვევო ანაზღაურების სავარაუდო მოცულობა?
- რამდენია სადაზღვევო პრემია?
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი დებულებები და პირობები.
- როგორ უნდა იმოქმედოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?
- რა შემთხვევებშია შესაძლებელი ხელშეკრულების შეწყვეტა?

ხელშეკრულების გაფორმებით დაზღვეულს/დამზღვევს სხვადასხვა უფლება ენიჭება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებაა. სადაზღვეო კომპანია ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების ყველა შედეგი დაზღვეულს/დამზღვევს წინასწარ გააცნოს.

რა თქმა უნდა, დაზღვეულს/დამზღვევსაც აქვს თავისი წილი ვალდებულებები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდაა. გარდა ამისა, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მან მზღვეველს ყველა საჭირო ინფორმაცია (მაგ., ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, ყველა არსებული დაავადების შესახებ ზუსტი ინფორმაცია) ხელშეკრულების გაფორმებამდე კეთილსინდისიერად მიაწოდოს. დაზღვეული/დამზღვევი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს სადაზღვეო კომპანიას ზიანის დადგომის შესახებ და ზარალის შესამცირებლად, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იმოქმედოს. თუკი დაზღვეული/დამზღვევი ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს, გარკვეული შემთხვევებში, შესაძლოა, მან სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება დაკარგოს.

სამუშაო ფურცელი 4.1 ცხოვრებისეული რისკები

ა) მოსწავლეები ცხოვრებისეულ რისკებსა და შესაძლო ზარალზე მსჯელობენ

ოჯახის (მაგ., გუდაძის ოჯახი: მამა - 45 წლის, დედა - 38 წლის, ბებია - 70 წლის, ვაჟი, გიორგი - 10 წლის, ქალიშვილი, ნინო - 19 წლის) მაგალითზე მოსწავლეები განიხილავენ სავარაუდო რისკებს: რა შეიძლება შეემთხვეთ ოჯახის წევრებს და რა შესაბამისი შედეგები შეიძლება წარმოიშვას, ასევე, რა გზით შეძლებენ ისინი თავის დაცვას.

მოსწავლეები ერთად მსჯელობენ, შემდეგ კი დაფაზე ჩამოწერენ ოჯახის თითოეული წევრის შემთხვევაში: რა შეიძლება მოხდეს? ვინ დაზარალდა? არის ვინმე დამნაშავე? ვინ აანაზღაურებს ზარალს?

2) მოსწავლეები, ბავშვობიდან სიბერის ჩათვლით, ცხოვრების ეტაპების შესაბამისად, დროის შკალას ხაზავენ.

მოსწავლეები უთითებენ თუ რომელი ცხოვრებისეული რისკი, ცხოვრების რა ეტაპს განეკუთვნება. დროის შკალის რომელ ფაზაში არიან მაგალითში დასახელებული ოჯახის წევრები ან სხვა პირები?

მოსწავლეები ფერადი მარკერით აღნიშნავენ, თუ რომელი რისკია დაბალი, დამაზიანებელი (კრიტიკული) ან გამანადგურებელი (კატასტროფული)?

მოსწავლეები განმარტავენ, რისკის წარმოშობის შემთხვევაში, დაზარალებული თავად უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას თუ ვინმე ეხმარება: მაგალითად, ოჯახი, სახელმწიფო თუ ვინმე სხვა?

დროის შკალა:



პასუხები:

ა) მაგალითი:

სახელი	რა მოხდა?	ვინ დაზარალდა?	ვინ არის ამ ქმედების მთავარი მიზეზი?	ვინ აანაზღაურებს ზარალს?
მამა	. . .			
დედა	. . .			
ბებია	. . .			
ნინო	. . .			
გიორგი	ფეხბურთის თამაშისას მეზობლის ფანჯარა ჩაამტვრია	მეზობელი	გიორგი	მამა (მინის შეძენა და ჩასმა)

ბ) დროის შკალის მაგალითი:

გიორგი	**ნინო**	**...**	**მამა**	**დედა**	**ბებია**
ქონების დაზიანება	**ფეხის მოტეხვა**	**...**	**ავტოავარია**	**სახურავის დაზიანება**	**ბინაზე მოვლა**
.....	.....	.....	.....	.....	.....
.....	.....	.....	.....	.....	.....



სამუშაო ფურცელი 4.2 დაზღვევის ტიპები

მოსწავლეები ჯგუფებად იყოფიან და თითეული ჯგუფი, შემთხვევითობის პრინციპით, ქვემოთ ჩამოთვლილი სცენარებიდან ერთ-ერთს იღებს:

- ავტომობილი შეიძინეთ;
- საცხოვრებლად ახალ სახლში გადახვედით;
- სასოფლო მეურნეობა გაქვთ (მაგალითად, მიწის ნაკვეთზე მარცვლეული კულტურა მოგყავთ);
- სამოგზაუროდ მიდიხართ;
- მუშაობთ და ხელფასის საფუძველზე სესხს იღებთ.

თითეული ჯგუფი თავისი შემთხვევის ირგვლივ მსჯელობს, შემდეგ, კითხვებზე პასუხებს კლასს წარუდგენს:

- რა შემთხვევა შეიძლება მოხდეს?
- ვის და რა ზარალი შეიძლება მიადგეს?
- რომელი ტიპის დაზღვევას შეიძენდით აღნიშნული შემთხვევისგან თავის დასაცავად?

პასუხები:

სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს, მაგალითად:

- **სცენარი** - მუშაობთ და სესხს იღებთ ხელფასის საფუძველზე.
- **რა შეიძლება მოხდეს?** - დაკარგოთ სამსახური, შესაბამისად, შემოსავალიც და სესხის გადახდა ვეღარ შეძლოთ;
- **ვის და რა ზარალი შეიძლება მიადგეს?** - თქვენ, ფინანსური ზარალი - სესხის გადაუხდელობის გამო ჯარიმები დაგეკისროთ;
- **რა ტიპის დაზღვევას შეიძენდით?** - უმუშევრობისგან დაზღვევა, რომელიც სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში სესხის შენატანებს დაფარავდა.

სამუშაო ფურცელი 4.3 დაზღვევის პირობები[5]

ა) მოსწავლეები სამუშაო ჯგუფებს ქმნიან და დაზღვევის ბაზარს იკვლევენ. ამისთვის ერთი კვირა ეძლევათ:

- ჯგუფები იკვლევენ, ზოგადად, რა სადაზღვევო შემოთავაზებები არსებობს ბაზარზე, რომელ რისკებს ფარავს შემოთავაზება და სადაზღვევო პაკეტები რომელ სამიზნე ჯგუფებზეა გათვლილი;
- თავისთვის რომელ სადაზღვევო პოლისს (რა ტიპის დაზღვევას) შეარჩევდნენ? ჯგუფები განიხილავენ და ასაბუთებენ შესაბამისი ტიპის დაზღვევით სარგებლობის გონივრულობას;
- შემდეგ ჯგუფები კვლევის შედეგებს წარმოადგენენ და ერთმანეთს ადარებენ. მსჯელობენ შემდეგი შეკითხვების შესახებ: რა სახის ზიანს შეიძლება ჰქონდეს ყველაზე უარესი ფინანსური შედეგები? გონივრულია თუ არა სხვადასხვა ტიპის დაზღვევით სარგებლობა იმის მიხედვით, თუ ცხოვრების რომელ ეტაპზეა ადამიანი? ვინ სარგებლობს დაზღვევით? და სხვა.

---

5 Astrid Loff / Leonard Ohl, Risiko und Absicherung (Risk and protection), Student book, 1st Edition 2020, Stuttgart.

ბ) მოსწავლეები სამუშაო ჯგუფებს ქმნიან და ერთმანეთს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის შეთავაზებებს ადარებენ. ამისთვის, მათ ერთი კვირა მიეცემათ:

- მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. თითოეულს შემთხვევითობის პრინციპით ეძლევა დაზღვევის ერთი რომელიმე ტიპი (მაგ., ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტოდაზღვევა, ქონების დაზღვევა და ა.შ).
- თითოეული ჯგუფი თავისი დაზღვევის ტიპის მიხედვით შეისწავლის საქართველოში არსებული სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებულ პირობებს და შეადარებს მათ.
- თითოეული ჯგუფი წყვეტს, რომელი კომპანიის სადაზღვევო პაკეტს შეიძენდა და ასაბუთებს, თუ რატომ, რა კრიტერიუმებით მიანიჭა მას უპირატესობა.
- თავიანთ კვლევის შედეგებს და გადაწყვეტილებებს ჯგუფები კლასის წინაშე წარადგენენ.

გ) ავტომობილის სადაზღვევო პოლისის მაგალითზე მოსწავლეები განიხილავენ: რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი დაზღვევის ღირებულების განსაზღვრისას? რა როლს ასრულებს ეს ფაქტორები სადაზღვევო პრემიის მოცულობის გამოანგარიშებისას? (მაგალითად, გაზრდის ღირებულებას თუ შეამცირებს) არა მხოლოდ ავტომობილის მესაკუთრისა და მძღოლის, არამედ, ასევე, სხვა შესაძლო ავტოავარიებისა და ზარალის შესახებაც მსჯელობენ.

პასუხები[6]:

ავტომობილის დაზღვევის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები:

ავტომობილი

- ავტომობილის ტიპი;
- ავტომობილის ასაკი მისი შეძენისას;
- ავტომობილის რეგისტრირაციის ადგილი.

მესაკუთრე / მძღოლი

- ერთი წლის განმავლობაში ავტომობილით გავლილი კილომეტრების რაოდენობა;
- ავტომობილით მოსარგებლე მძღოლების რაოდენობა;
- მძღოლების ასაკი;
- ავტომობილის მესაკუთრე ისეთი პროფესიით არის დასაქმებული, სადაც სტატისტიკურად ავტოავარიების მცირე რაოდენობა გვხვდება
- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მძღოლი ავტოავარიაში არ მოხვედრილა;
- ითვალისწინებს პოლისი ფრანშიზას?

ავტოავარიები

- ავტოავარიების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით;
- ავტოავარიებში ხშირად მოხვედრილი ავტომობილების ტიპები;
- ავტოავარიების სერიოზულობის ხარისხი (დაბალი/საშუალო/მაღალი);
- ავტოავარიებში დაზიანებულ ადამიანთა რაოდენობა და ზიანის ანაზღაურების ხარისხი (დაბალი/საშუალო/მაღალი);
- ავტოავარიაში დაზიანებული ავტომობილების ზიანის ანაზღაურების ხარისხი (დაბალი/საშუალო/მაღალი).

6 Astrid Loff / Leonard Ohl, Risiko und Absicherung (Risk and protection), Student book, 1st Edition 2020, Stuttgart.

სამუშაო ფურცელი 4.4 ტესტი

შეეცადეთ, სრულად უპასუხოთ დავალებებს.

1. დაასახელეთ გამანადგურებელი (კატასტროფული) რისკის მაგალითები:

---
2. ჩამოთვალეთ დაზღვევის სამი ტიპი და მოიყვანეთ თითოეული მათგანის მაგალითი:

---
3. რა ვალდებულებები აქვს დაზღვეულს (დამზღვევს)?

---
4. რა ვალდებულებები აქვს მზღვეველს (სადაზღვეო კომპანიას)?

სწორია თუ არასწორი?

1. რისკი განიმარტება, როგორც არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობა. სწორია/არასწორია
2. პირადი დაზღვევის მაგალითია საცხოვრებელი სახლის დაზღვევა. სწორია/ არასწორია
3. პასუხისმგებლობის დაზღვევა ფარავს ადამიანისა და ქონების დაზიანებას. სწორია/ არასწორია

სასარგებლო/გამოყენებული რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა:
  - დაზღვევა
- ფინანსური განათლების პორტალი: finedu.gov.ge
  - კატეგორია: დაზღვევა
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდი: www.insurance.gov.ge

საკითხი 5: მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები

ქვესაკითხები:

- მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში.
- საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები.
- მომხმარებლის პასუხისმგებლობები ფინანსური პროდუქტით სარგებლობისას.
- ვის მიმართოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში?

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები აქვთ;
- მოსწავლეებს ესმით, რომ უფლებებს გარკვეული პასუხისმგებლობებიც ახლავს.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებმა იციან საფინანსო სექტორის მომხმარებელთა ძირითადი უფლებები;
- მოსწავლეებს შეუძლიათ დაასახელონ მომხმარებელთა უფლებების დამცველი მარეგულირებელი ორგანოები და დაასახელონ ეროვნული ბანკი, როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებადამცველი;
- მოსწავლეებმა იციან, ვის მიმართონ, უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი ცნებები:

მომხმარებელი, მომხმარებლის უფლებები, მომხმარებლის პასუხისმგებლობები, პრეტენზია.

თემატური საკვანძო შეკითხვები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?
თემატური მკვიდრი წარმოდგენები (ეროვნული სასწავლო გეგმიდან):
• ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;
• პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილდღეობის საფუძველია.

5.1 მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში

სხვადასხვა კომპანიის, ასევე, საფინანსო ორგანიზაციისა თუ სადაზღვევო კომპანიის საქონლისა და მომსახურების შეძენისას, ამ პროდუქტისა თუ მომსახურების მომხმარებელი ბრძანდებით. თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი პროდუქტის შერჩევისას ამ პროდუქტის შესახებ სრულყოფილი, უტყუარი ინფორმაცია უნდა მიიღოთ, მონაცემები ერთმანეთს შეადაროთ და ამის შემდეგ გააკეთოთ არჩევანი. ასევე, თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები, კარგად უნდა იცოდეთ.

თქვენ, როგორც მომხმარებლებს, სამომხმარებლო, ასევე ფინანსური და სადაზღვევო პროდუქტების სფეროში, კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები გაქვთ.

2022 წლიდან საქართველოში მოქმედებს **[მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი](#)**, რომელიც ზოგადად **სამომხმარებლო ბაზრის მომხმარებელთა უფლებებს** (უფრო კონკრეტულად, ფიზიკური პირების უფლებებს) და მეწარმეთა ვალდებულებებს არეგულირებს. ამ კანონით, მაგალითად, მეწარმემ ქართულ ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად

უნდა მოგაწოდოთ საქონლისა და მომსახურების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაცია, რაც საჭიროა იმისთვის, რომ სწორი არჩევანი გააკეთოთ. ეს ინფორმაციაა: მომწოდებლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, პროდუქტის არსებითი მახასიათებლები, ფასი, საგარანტიო პირობები და სხვ. გაყიდულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს 2 წლიანი გარანტია, რაც მომხმარებელს იმ შემთხვევაში დაიცავს, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება. ნაკლის მქონე საქონელი მომწოდებელმა უნდა შეაკეთოს, ან შეგიცვალოთ, ხოლო თუ ეს ვერ ხერხდება, დაიბრუნოს. თუ საქონელს ონლაინ ყიდულობთ, მაშინ თქვენ შეძენილი პროდუქტის უკან დაბრუნების უფლება მიზეზის დასაბუთების გარეშე, 14 დღის განმავლობაში, გაქვთ. კანონის მიხედვით, იკრძალება შეცდომაში შემყვანი ან აგრესიული კომერციული საქმიანობა (რასაც ასევე კანონი განსაზღვრავს), ასევე მომხმარებლის დისკრიმინაცია, ანუ მისი რაიმე ნიშნით გამორჩევა და არათანაბარი მოპყრობა. სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ცალკე წესით არის გაწერილი. იგი მოიცავს, მაგალითად, სასურსათო პროდუქტის შემადგენლობას, გამოშვებისა და ვარგისიანობის ვადას, უსაფრთხოებასა და ა.შ.

ფინანსური პროდუქტისა და მომსახურების მიმღები მომხმარებლების უფლებები ცალკეა გამოიყოფილი. როგორც უკვე იცით, საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დამცველი საქართველოს ეროვნული ბანკია, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით არის განსაზღვრული. მომხმარებლების უფლებებს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული **საფინანსო ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი** არეგულირებს. ამ წესის თანახმად, საფინანსო ორგანიზაციამ ფინანსური პროდუქტისა და მომსახურების შესახებ აუცილებელი, უტყუარი და დროული ინფორმაცია სრულყოფილად და თქვენთვის გასაგებ ენაზე უნდა მოგაწოდოთ. ეს საჭიროა იმისათვის, რომ საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას პასუხისმგებლიანი არჩევანის გაკეთება შეძლოთ, დააზღვიოთ რისკები და არცოდნით (ინფორმაციის ნაკლებობით) გამოწვეულ გაუთვალისწინებელ ხარჯებს და ფინანსურ პრობლემებს თავი აარიდოთ. თუმცა, ერთი მხარეა საკუთარი უფლებების ცოდნა, მეორე კი, მომხმარებლის პასუხისმგებლობა - დაიცვას საკუთარი უფლებები და ფინანსური პროდუქტის თანმდევი ვალდებულებები შეასრულოს. ფინანსურ პროდუქტებთან მიმართებაში მომხმარებლის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

სადაზღვევო პროდუქტების მომხმარებლების უფლებებს რაც შეეხება, სადაზღვევო ბაზრის ზედამხედველობას საქართველოში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს. ისევე, როგორც სხვა ფინანსური პროდუქტების შემთხვევაში, სადაზღვევო პროდუქტის შეძენის დროსაც მომხმარებელს უფლება აქვს ამ პროდუქტის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაცია მიიღოს, რათა სხვადასხვა ალტერნატივის შედარება და მისთვის საუკეთესო შემოთავაზების არჩევა შეძლოს. მომხმარებელს თავისი სადაზღვევო დოკუმენტების (მაგალითად, ხელშეკრულება, პოლისი) ასლების მოთხოვნის, ასევე, თუ თვლის, რომ მისი უფლებები ირღვევა, პრეტენზიის დაფიქსირების უფლება აქვს. მეორე მხრივ, მომხმარებელს ასევე, პასუხისმგებლობებიც გააჩნია. მაგალითად, მისი პასუხისმგებლობაა, სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო შემთხვევის დადგომა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებსა და შესაბამისი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს.

დამატებითი ინფორმაცია:
მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე 15 მარტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა, რომელიც მთელს მსოფლიოში 1983 წლიდან აღინიშნება. ამ ინიციატივის მიზანი საზოგადოებაში მომხმარებლის უფლებებისა და მათი დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღის აღნიშვნა ამერიკის პრეზიდენტის, ჯონ კენედის 1962 წლის 15 მარტის გამოსვლას უკავშირდება, სადაც ის მომხმარებელთა უფლებების შეეხო. ეს უფლებებია: უსაფრთხო პროდუქტის მიღების უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, თავისუფალი არჩევანის უფლება და მომხმარებლების უფლება, მოისმინონ მათი ინტერესები.

5.2 საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები

ზემოთ ნახსენები მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი დეტალურად აღწერს ფინანსური პროდუქტის მომხმარებელთა უფლებებს და საფინანსო ორგანიზაციების ვალდებულებებს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ძირითად უფლებას განვიხილავთ.

საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, თქვენ უფლება გაქვთ:

მიიღოთ სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები ინფორმაცია

შემოთავაზების პირობებში კარგად გასარკვევად და თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი და გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად, საფინანსო ორგანიზაციის თანამშრომლებმა, ფინანსურ პროდუქტთან თუ მომსახურებასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მოგაწოდონ და ფინანსური პროდუქტის შესახებ თქვენ მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხონ. მაგალითად, უნდა მიიღოთ ინფორმაცია:

- საპროცენტო განაკვეთზე - სესხის აღების ან დეპოზიტით სარგებლობისას თუ რა თანხის გადახდა მოგიწევთ ფულის სესხების შემთხვევაში და რა სარგებელს მიიღებთ ფულის დაზოგვისას. საფინანსო ორგანიზაციამ ასევე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებაც უნდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელშიც ფინანსურ პროდუქტთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯია ასახული.
- საკომისიოებსა და ჯარიმებზე – თუ რა ჯარიმები და საკომისიოებია გათვალისწინებული თქვენ მიერ არჩეული პროდუქტის ხელშეკრულებაში. მაგალითად, რა გადასახადს დაგაკისრებთ ბანკი თუ დეპოზიტს შეთანხმებულ ვადაზე ადრე გაიტანთ, თუ გადააცილებთ სესხის შენატანის თარიღს და ა.შ.
- პრეტენზიის დაფიქსირების ფორმებზე - თუ რა ფორმით შეგიძლიათ დააფიქსიროთ პრეტენზია.
- და ა.შ.

თავად გადაწყვიტოთ, რომელი პროდუქტის შეძენა გსურთ

როგორც მომხმარებელს, უფლება გაქვთ, თავად გადაწყვიტოთ, თუ რომელი საქონლის ან მომსახურების შეძენა გსურთ. შესაბამისად, სანამ თქვენთვის საუკეთესოს შეარჩევდეთ, სხვადასხვა შემოთავაზების შედარება უნდა შეგეძლოთ. ამისთვის, სხვადასხვა ფინანსური

პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ამომწურავი, ზუსტი და ადვილად გასაგები ინფორმაცია უნდა მიიღოთ.

მოითხოვოთ ურთიერთობისას ეთიკის ნორმების დაცვა

საფინანსო ორგანიზაციას თქვენთან კომუნიკაციისას ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობის ნორმების დაცვა მოეთხოვება. თქვენთვის მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, ქცევა კი - რეპუტაციის შემლახავი.

მოითხოვოთ ხელშეკრულების ნიმუში მის ხელმოწერამდე

სანამ სესხის, ან დეპოზიტის ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერდეთ, მისი კარგად წაკითხვა და პირობების გაცნობა აუცილებელია. ხელშეკრულების გაფორმებისას მომხმარებლებს ხშირად, მისი დეტალურად წაკითხვა ერიდებათ, ან ამისთვის საკმარისი დრო არ აქვთ. თქვენ უფლება გაქვთ, წინასწარ მოითხოვოთ თქვენი ხელშეკრულება, სადაც ზუსტად ის პირობები იქნება გაწერილი, რაზეც შეთანხმდით, წაიღოთ სახლში, მშვიდად წაიკითხოთ და ხელი მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროთ. საფინანსო ორგანიზაციებს ხელშეკრულების ზოგადი შაბლონები საკუთარ ვებგვერდებზეც აქვთ განთავსებული, რომლის გაცნობაც ასევე, ფინანსური პროდუქტისა თუ მომსახურების შეძენამდეც შეგიძლიათ.

დააფიქსიროთ პრეტენზია

თუ ჩათვლით, რომ საფინანსო ორგანიზაცია თქვენს უფლებების არღვევს, უკმაყოფილო ხართ ან არ ეთანხმებით მას, ამ ორგანიზაციაში თქვენი პრეტენზიის დაფიქსირება შეგიძლიათ. პრეტენზიის დაფიქსირება ზეპირად, ტელეფონით, წერილობით, ან ელექტრონულად არის შესაძლებელი. საფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია, თქვენი პრეტენზია შეისწავლოს და 1 თვის ვადაში გიპასუხოთ.

საფინანსო ორგანიზაციის შესახებ პრეტენზიის დაფიქსირება საქართველოს ეროვნულ ბანკშიც შეგიძლიათ, ცხელი ხაზის (032) 2 406 406 ან ელექტრონული ფოსტის cp@nbg.gov.ge საშუალებით.

5.3 მომხმარებლის პასუხისმგებლობები ფინანსური პროდუქტით სარგებლობისას

უფლებების ცოდნასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომხმარებლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა. საკუთარი უფლებების დაცვაზე თავადაც უნდა იზრუნოთ და ამომწურავი ინფორმაცია მოიძიოთ.

საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, თქვენი პასუხისმგებლობაა:

გაეცნოთ შესაძენი ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას

ამისთვის, საფინანსო ორგანიზაციას უნდა დაუსვათ შეკითხვები, გაეცნოთ პროდუქტის ყველა პირობას და შეაფასოთ მისი ხარჯები და სარგებელი; დეტალურად წაიკითხოთ ფინანსური პროდუქტის ხელშეკრულება, დარწმუნდეთ, რომ კარგად გესმით ყველა პირობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწეროთ მას ხელი.

შეადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა შემოთავაზება

ფინანსური პროდუქტის შეძენამდე რამდენიმე ბანკს, ან მათ ვებგვერდებს ეწვიეთ, ასევე, სატელეფონო მომსახურების ცენტრები გამოიყენეთ. თქვენთვის სასურველი პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და პირობები სხვადასხვა ბანკში დააზუსტეთ, ერთმანეთს შეადარეთ და სასურველი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით, თქვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის შეასრულების ვალდებულებას იღებთ. მაგალითად, სესხის შემთხვევაში, პირობას დებთ, რომ სესხის თანხას გარკვეული პერიოდულობით გადაიხდით. თუ რომელიმე პირობას არ/ვერ შეასრულებთ, შესაძლოა, მისაღები სარგებელი დაკარგოთ, ჯარიმა დაგეკისროთ ან კიდევ უფრო მძიმე სანქციების აღსრულების წინაშე აღმოჩნდეთ.

საფინანსო ორგანიზაციას მიაწოდოთ ზუსტი და დროული ინფორმაცია

მაგალითად, საფინანსო ორგანიზაციას სწორი საკონტაქტო ინფორმაცია მიაწოდოთ, ცვლილების შესახებ კი, დროულად აცნობოთ, რომ თქვენთან დაკავშირება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუფერხებლად შეძლოს.

საფინანსო ორგანიზაციის მიმართ გაჩენილი პრეტენზიის დაფიქსირებას ნუ გადადებთ, მყისიერად დააფიქსირეთ, რათა მან საკუთარი მომსახურების გაუმჯობესება და პრობლემები მოგვარება მალევე შეძლოს.

გაუფრთხილდეთ პერსონალურ მონაცემებს

თქვენი პასუხისმგებლობაა გაუფრთხილდეთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ინფორმაციას, რომლითაც თქვენი იდენტიფიცირება არის შესაძლებელი და რომლის გამჟღავნებითაც შესაძლოა, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. მაგალითად, თქვენ უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ბარათს და არავის გაანდოთ მასზე დატანილი ინფორმაცია, პინ კოდი (PIN-კოდი), არავის გაუმჟღავნოთ თქვენი ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი.

5.4 ვის უნდა მიმართოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში?

თუ თვლით, რომ თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ირღვევა, პრეტენზიის დააფიქსირება ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში შეგიძლიათ:

სამომხმარებლო პროდუქტი და მომსახურება
კონკურენციის ეროვნული სააგენტო ვებგვერდი: www.gnca.gov.ge მისამართი: 0102, ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N 154. ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი", მე-10 სართული ტელეფონი: (032) 2 05 4422; 598 05 4422 ელ. ფოსტა: consumer@gnca.gov.ge

საფინანსო ორგანიზაციების პროდუქტი და მომსახურება
მომსახურე **საფინანსო ორგანიზაცია** *ზეპირი, წერილობით ან ელექტრონული ფორმით, ტელეფონით* ან **საქართველოს ეროვნული ბანკი** ვებგვერდი: www.nbg.gov.ge მისამართი: 0114, ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1 ტელეფონი: (032) 2 406 406 ელ. ფოსტა: cp@nbg.gov.ge

სადაზღვევო პროდუქტი და მომსახურება
მომსახურე **სადაზღვევო კომპანია** *ზეპირი, წერილობითი, ან ელექტრონული ფორმით* ან **საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური** *წერილობითი განცხადება* მისამართი: 0162, ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. N3

სამუშაო ფურცელი 5.1 მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მოსწავლეები მომხმარებელთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე მსჯელობენ

ა) ქვემოთ მოცემულ სქემებზე მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები განათავსეთ.



ბ) დაასახელეთ მომხმარებლის რამდენიმე უფლება და სათანადო პასუხისმგებლობა შეუსაბამეთ.

პასუხები:

ბ) სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს:

მაგალითად,

- უფლება - ხელშეკრულება წინასწარ მოითხოვოთ, პასუხისმგებლობა - ხელშეკრულება სრულყოფილად ხელმოწერამდე წაიკითხოთ;
- უფლება - ფინანსური პროდუქტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოთ, პასუხისმგებლობა - ფინანსური პროდუქტის შესახებ კითხვები საფინანსო ორგანიზაციას მის შეძენამდე დაუსვათ;
- უფლება - თავად გადაწყვიტოთ, რომელი ფინანსური პროდუქტის შეძენა გსურთ, პასუხისმგებლობა - ფინანსური პროდუქტის შეძენამდე ერთმანეთს სხვადასხვა შემოთავაზება შეადაროთ;
- და სხვ.

სამუშაო ფურცელი 5.2 სიტუაციის განხილვა

მოსწავლეები განიხილავენ სიტუაციას და როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებების დარღვევის, ასევე, მომხმარებლის მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის შემთხვევებზე მსჯელობენ.

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ სიტუაცია. გასაცნობად და პრეზენტაციის მოსამზადებლად დრო მიეცით. შემდეგ კლასში განიხილეთ.

სიტუაცია:

მანანამ საბანკო განვადებით 1200 ლარიანი მობილური ტელეფონის შეძენა გადაწყვიტა. პირობების გასაცნობად ერთ-ერთ ბანკს მიმართა, სადაც მიაწოდეს ინფორმაცია, რომ განვადება 3%-ში, ხოლო, დაფარვის ვადა, 12 თვე იყო. მანანა ტელეფონის ყიდვას ისე ჩქარობდა, რომ განვადების ხელშეკრულებას წაუკითხავად მოაწერა ხელი და სახლში კმაყოფილი დაბრუნდა.

განვადების ხელშეკრულებაში მანანამ მხოლოდ გადახდის თარიღის დადგომისას ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ 3% განვადების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი იყო, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 13.14%-ს შეადგენდა, რაც მის მოლოდინს თითქმის 10%-ით აღემატებოდა. ხელშეკრულების თავსართში სხვა ფინანსური ხარჯებიც იყო მითითებული: განვადების გაცემის საკომისიო 50 ლარი და ყოველთვიური მომსახურების საკომისიო 1 ლარი. აღშფოთებულმა მანანამ ბანკში დარეკა და პრეტენზია გამოთქვა, რომ განვადების გაფორმებისას ეს ინფორმაცია მისთვის არავის მიუწოდებია. ოპერატორმა უპასუხა, რომ ბანკი მას ვერაფრით დაეხმარებოდა, რადგან ყველა ეს პირობა ხელშეკრულებაში იყო გაწერილი და მან ამ ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა, ხოლო თუ პრეტენზიის დაფიქსირება მაინც სურდა, მაშინ, განცხადების დასაწერად ბანკის სათაო ოფისში უნდა მისულიყო.

ბანკის სათაო ოფისში მისვლა მანანას დაეზარა და განვადების გადახდა განაგრძო.

კითხვები სამსჯელოდ:

- ჰქონდა თუ არა ბანკის მხრიდან ადგილი მომხმარებლის უფლებების დარღვევას? თუ კი, დაასახელეთ და დაასაბუთეთ.
- ჩამოთვალეთ, რისი უფლება ჰქონდა მანანას, როგორც საფინანსო სექტორის მომხმარებელს.
- თქვენი აზრით, პასუხისმგებლობით მოიქცა თუ არა მანანა? დაასაბუთეთ.
- სხვა რისი გაკეთება შეეძლო მანანას?

პასუხები:

სავარაუდო პასუხები:

- ბანკმა მომხმარებლის უფლება დაარღვია, რადგან არ მიაწოდა სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტის (განვადების) შესახებ: არ გააცნო დაკავშირებული ფინანსური ხარჯები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაციაც არ მიაწოდა. ასევე, ბანკმა მანანას უფლება დაარღვია, როდესაც სატელეფონო ზარის საშუალებით გამოთქმული პრეტენზია ბანკის თანამშრომელმა არ მიიღო და უთხრა, რომ პრეტენზიის დაფიქსირება მხოლოდ სათაო ოფისში მისვლით და განცხადების დაწერით შეეძლო.

- მანანას უფლება ჰქონდა: ხელშეკრულების გაფორმებამდე განვადების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეღო, წინასწარ მოეთხოვა ხელშეკრულების ნიმუში და დაკვირვებით წაეკითხა, ტელეფონით დაეფიქსირებინა პრეტენზია და ბანკისგან დასაბუთებული პასუხი მიეღო.
- მანანა არაგონივრულად მოიქცა, როდესაც: პროდუქტის პირობების დეტალური გარკვევა არ მოინდომა, დამაზუსტებელი შეკითხვები არ დასვა, ასევე, მხოლოდ ერთ ბანკს მიმართა და სხვა ბანკების შემოთავაზებები არ განუხილავს, ხელშეკრულებას ხელი ისე მოაწერა, რომ არ წაუკითხავს.
- მანანას საკუთარი პრეტენზიის დაფიქსირება საქართველოს ეროვნულ ბანკშიც შეეძლო.

სამუშაო ფურცელი 5.3 მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები

მოსწავლეები მომხმარებლის უფლებების დარღვევის სხვადასხვა სიტუაციას განიხილავენ.

მოსწავლეები ქვემოთ მოცემულ სიტუაციებს განიხილავენ და თითოეულის შემთხვევაში მსჯელობენ:

- დაირღვა თუ არა მომხმარებლის უფლება?
- თუ დაირღვა, რომელი?
- სად და რა გზით დააფიქსირებდით (დააფიქსირებდნენ) პრეტენზიას?

სიტუაცია 1: სადაზღვევო კომპანია A-ში ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობთ. ხელშეკრულება დაკარგეთ, ხელშეკრულების პირობები გაინტერესებთ და მზღვეველს ასლის მოწოდება სთხოვეთ. მზღვეველი ხელშეკრულების ასლის გადმოცემაზე უარს გეუბნებათ.

სიტუაცია 2: ბანკი B-ის გაყიდვების ოფიცერმა ტელეფონზე დაგირეკათ და 1 წლიანი 1000 ლარიანი სამომხმარებლო სესხი შემოგთავაზათ. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დაინტერესდით. გაყიდვების ოფიცერმა გიპასუხათ, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცნობილი თქვენთვის მხოლოდ სესხის აღების და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გახდებოდა.

სიტუაცია 3: ონლაინ მაღაზიაში მობილური ტელეფონი იყიდეთ. ჩაბარების შემდეგ აღმოაჩინეთ, რომ არ იტენებოდა და მე-3 დღეს ნივთის მაღაზიისთვის დაბრუნება გადაწყვიტეთ. მაღაზიამ ტელეფონის შეცვლასა და დაბრუნებაზე უარი გითხრათ, იმ საბაბით, რომ ტელეფონი ჩაბარებისთანავე უნდა შეგემოწმებინათ და დაბრუნების მოთხოვნით იმავე დღეს მიგემართათ.

სიტუაცია 4: ბანკ C-ში სტუდენტური სესხის აღება გადაწყვიტეთ. სესხის ოფიცერთან სესხის თანხაზე, ვადაზე, საპროცენტო განაკვეთსა და სხვა პირობებზე შეთანხმდით. მეორე დღეს ბანკმა ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად დაგიბარათ. ბანკს მეორე დღეს ტელეფონით დაუკავშირდით და თქვენი ხელშეკრულების ელექტრონული ფოსტით გამოგზავნა სთხოვეთ. ბანკისგან ხელშეკრულების წინასწარ მიწოდებაზე უარი მიიღეთ.

სიტუაცია 5: მეგობრებთან ერთად კაფეში შეხვედით, სადაც მენიუ ქართულ ენაზე არ ჰქონდათ. მენეჯერს გაესაუბრეთ, მან კი, გიპასუხათ, რომ კაფე უცხოელი დამფუძნებლის იყო, ამიტომ, მენიუ ქართულ ენაზე არ ჰქონდათ და არც მიმტანები საუბრობდნენ ქართულად.

პასუხები:

სიტუაცია 1: დაირღვა დაზღვეულის უფლება, მიიღოს მზღვეველისგან თავისი დაზღვევის დოკუმენტაციის ასლები დამატებითი საფასურის გარეშე. მომხმარებელს შეუძლია პრეტენზია დააფიქსიროს სადაზღვევო კომპანიაში ან მიმართოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს.

სიტუაცია 2: დაირღვა ფინანსური პროდუქტის მომხმარებლის საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფილად მიიღების უფლება. მომხმარებელს შეუძლია პრეტენზია ბანკ B-ში დააფიქსიროს, ან საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართოს.

სიტუაცია 3: დაირღვა მომხმარებლის უფლება, დისტანციურად საქონლის შეძენის შემთხვევაში საქონლის უკან დაბრუნება 14 დღის განმავლობაში მოითხოვოს. მომხმარებელს შეუძლია კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიმართოს.

სიტუაცია 4: დაირღვა ფინანსური პროდუქტის მომხმარებლის უფლება, ხელშეკრულების ნიმუში წინასწარ, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით მიიღოს. მომხმარებელს შეუძლია პრეტენზია ბანკ C-ში დააფიქსიროს, ან საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართოს.

სიტუაცია 5: დაირღვა მომხმარებლის უფლება, საქონელი და მომსახურება სახელმწიფო - ქართულ ენაზე მიიღოს. მომხმარებელს შეუძლია კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიმართოს.

სამუშაო ფურცელი 5.4 ტესტი

შეეცადეთ, სრულად უპასუხოთ დავალებებს.

1. ჩამოთვალეთ მომხმარებლის რამდენიმე უფლება სხვადასხვა სფეროში.

---

2. რა შეუძლია მომხმარებელს მოიმოქმედოს, თუ შეძენილ საქონელს ნაკლი აღმოაჩნდა?

---

3. რა უნდა გაითვალისწინოს მომხმარებელმა, რათა შემოთავაზებულთაგან მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ფინანსური პროდუქტი შეარჩიოს?

სწორია თუ არასწორი?

1. საქართველოში საფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებებს საქართველოს ეროვნული ბანკი იცავს. სწორია / არასწორია
2. საფინანსო ორგანიზაციაში პრეტენზიის დაფიქსირება მხოლოდ წერილობით ან ელექტრონული ფოსტით არის შესაძლებელი. სწორია / არასწორია
3. მომხმარებელი ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომა სადაზღვევო კომპანიას დაუყოვნებლივ შეატყობინოს. სწორია / არასწორია

სასარგებლო/გამოყენებული რესურსები

- ფინანსური განათლების ბროშურა:
  - მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები
- ფინანსური განათლების პორტალი: www.finedu.gov.ge
  - კატეგორია: მომხმარებლის უფლებები
- სკოლა-ბანკი: ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის
  - გაკვეთილი: 7,8,9
- საფინანსო ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი:
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5117792?publication=0
- კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ:
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=1

www.finedu.gov.ge / info@finedu.gov.ge
www.nbg.gov.ge / info@nbg.gov.ge / (032) 2 406 406